პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 267 (5068) | სამშაბათი, 23 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

საარჩევნო კამპანია იმ პერიოდში შევიდა, როდესაც საჭიროა ღრმა და სერიოზული აგიტაციის გაწევა ამათუიმ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ.

„პ რ ა ვ დ ა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ივრის კომუნისტების მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი

**პარიზი,** 22 ნოემბერი (საკდესი). „ლუმანიტე" აქვეყნებს იმ დეპეშის ტექსტს, რომელიც გაუგზავნა ამხანაგ სტალინს ივრის (პარიზის გარეუბანი) კომუნისტების კრებამ, შემდგარმა ამხ. ტორეზის თავმჯდომარეობით. დეპეშაში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ივრის კომუნისტები, შეიკრიბნენ რა კონფერენციაზე, ორგანიზაციის 2,5 ათასი წევრის სახელით მიესალმებიან შენი სახით დიდი ლენინის საქმის ღირსეულ განმგრძობს. შენ, რომელიც ყველაზე მეტად სძულხართ რეაქციასა და ფაშისტებს, შენ ყველაზე საყვარელი ხარ მთელი მსოფლიოს მშრომელებისა და ივრის მშრომელებისათვის, იმიტომ, რომ ყველაზე უკეთ იცავ მუშათა კლასის საქმეს, მშვიდობიანობის საქმეს და თავისუფლების საქმეს. მთელი ჩვენი გულისყური მიპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც 20 წლისთავზე გვიჩვენებს, რომ სოციალიზმი მსოფლიოს ყველა ხალხს ბედნიერებას მიანიჭებს.

გისურვებთ შენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ხანგრძლივ სიცოცხლეს, გისურვებთ ამას, რადგან შენ ყველაზე უფრო გვიყვარხართ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!
გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას სტალინს!"

## სუბტროპიკული რაიონების ღირსების საქმე

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროებზე, სადაც წინათ ველური გვიმრა ხარობდა, ახლა ჩაის და ციტრუსების ბაღნარები ჰყვავიან. ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიც ჩაი და ციტრუსებია, ოქტომბრის რევოლუციის პირმშო არიან. საბჭოთა საქართველოში არნახული ტემპებით ვითარდება ციტრუსთა მეურნეობა სხვა ძვირფას სუბტროპიკულ, ტექნიკურ და მარცვლეულ კულტურებთან ერთად. ციტრუსების ფართობი საბჭოთა ხელისუფლების წლებში 12-ჯერ გაიზარდა ამჟამად ციტრუსები საქართველოში გაშენებულია 6252 ჰექტარზე. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებული იქნა ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით, ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი საქართველოში 1940 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 20 ათას ჰექტარამდე. ციტრუსოვანთა კულტურები ინერგება ისეთ რაიონებში, სადაც ისინი დღემდე არ ყოფილან გავრცელებული. ეს რაიონებია: წალენჯიხა, გეგეჭკორი, აბაშა და ჩოხატაური.

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წელს ციტრუსის კარგ მოსავალს ღებულობენ. ეს მოსავალი თავისთავად არ მოსულა. იგი შედეგია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კოლმეურნეების მიერ მოპოვებული გამარჯვებისა.

ჩაი და ციტრუსები კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრების საფუძველს წარმოადგენენ. „ახლა ციტრუსები გახდა კოლმეურნე გლეხობის ერთერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ შემოსავლიან სამეურნეო წყაროდ დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და აფხაზეთში" **(ლ. ბერია).**

სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წლევანდელმა კარგმა მოსავალმა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მაღალი შემოსავალი მოუტანა. მრავლდება მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. ცალკეულ კოლმეურნეთა შემოსავალი პირდაპირ განსაცვიფრებელია. ბათუმის რაიონის სოფ. ყარადერეს აჭარცაკის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნის სულეიმან მხეიძის ოჯახი წელს კოლმეურნეობიდან და საკარმიდამო ნაკვეთიდან მიიღებს 50 ათას მანეთამდე შემოსავალს, ამავე კოლმეურნეობის წევრის რიზა მხეიძის ოჯახი—35 ათას მანეთს, მახარაძის რაიონის სოფ. ხვარბეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გიორგი თავბერიძის ოჯახი—37 ათას მანეთზე მეტს. ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება.

ორდენოსანმა საქართველომ წელს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. ახლა ამოცანა ის არის, რომ ასევე წარმატებით შევასრულოთ ციტრუსთა ნაყოფის დამზადება. წელს საქართველოში უნდა დამზადდეს 280.000.000 ცალი მანდარინი. მანდარინის კრეფა-დამზადება უკვე მასობრივად გაჩაღდა. 21 ნოემბრისათვის რესპუბლიკაში დამზადებული იყო 152.445 ათასი ცალი ანუ გეგმის 54,3 პროცენტი. მანდარინის დამზადება ყველაზე ნელი ტემპებით მიმდინარეობს ლანჩხუთსა და ფოთში. იქ სადაც თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი, წლიური გეგმები უკვე შეასრულეს. ასეთებია ცხაკაიას და ზუგდიდის რაიონები. ცხაკაიას რაიონმა იკისრა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 400 ათასი ცალი მანდარინი, ზუგდიდისამ კი—300 ათასი. მანდარინის დამზადება ყველაზე მეტად ჩამორჩა ცეკავშირის სისტემაში შემავალი დამამზადებელი ორგანიზაციების ხაზით. მაგალითად, 20 ნოემბრისათვის ცეკავშირის ხაზით მანდარინის დამზადების გეგმა სამესამედოდ იყო შესრულებული.

ძალიან ცუდად არის საქმე მანდარინის ნაყოფის დატვირთვა-გადაზიდვის მხრივ. 21 ნოემბრისათვის აჭარას მანდარინის გაგზავნის გეგმა შესრულებული ჰქონდა 21 პროცენტით, აფხაზეთს—მხოლოდ 4,1 პროცენტით, ლანჩხუთის რაიონს—8 პროცენტით.

ცუდად მუშაობენ დამამზადებელი ორგანიზაციები აჭარაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარკოოპკავშირის უხეირო მუშაობა ამ მხრივ. ეს იმ დროს როცა მანდარინის დამზადების რესპუბლიკური გეგმის 70 პროცენტი ბათუმისა და ქობულეთის რაიონებზე მოდის.

ბევრგან ვერ არის მოწესრიგებული მანდარინის მიმღები პუნქტების მუშაობა. ამის გამო ჭიანურდება მისი დახარისხება-გადამუშავება, რაც აუარესებს მანდარინის ხარისხს. მახინჯაურის მიმღებ პუნქტში (ბათუმი) ყოველდღიურად 9 ვაგონის ნაცვლად 4 ვაგონი მანდარინის გადამუშავებას ასწრებენ. უკეთეს მუშაობას ვერ დაიკვეხნის ხუცუბნის (ქობულეთი) მიმღები პუნქტიც. ეს პუნქტები უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო მუშახელით.

მახარაძის, ბათუმისა და ზუგდიდის რაიონები განიცდიან ტრანსპორტის სიმცირეს, რის გამო მოწესრიგებული არ არის მანდარინის დროულად გაზიდვა. მახარაძის რაიონის საწყობებში 20 ნოემბრისათვის 23 ვაგონი მანდარინი ეწყო გაუზიდავი. გასაოცარია ამ მხრივ უცნაური პოზიცია „საქკონსერვტრესტისა", რომელმაც დღემდე ვერ მიიღო გადამჭრელი ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ბათუმის ნავსადგურში მოწესრიგებული არ არის მანდარინის დატვირთვა და დანიშნულებისამებრ გადაზიდვა. ნავსადგური მოუმზადებელი შეხვდა მანდარინის მექანიზებული დატვირთვის საქმეს და ამიტომ არის, რომ იგი ვერ იცავს მანდარინის გადაზიდვის გრაფიკს. არის შემთხვევები, როდესაც ნავსადგურში რამდენიმე დღით ჩერდება მანდარინის ნაყოფი, ეს კი იწვევს ხარისხის გაუარესებას. დროა ნავსადგურის ხელმძღვანელმა მუშაკებმა შექმნილი მდგომარეობის შესახებ სასწრაფოდ გააკეთონ საჭირო დასკვნა და მიიღონ გადამჭრელი ზომები მანდარინის დროულად გადასაგზავნად დანიშნულებისამებრ.

ბევრგან ყურადღება არ ექცევა მანდარინის წესიერ დახარისხებას და გადამუშავებას. ციხისძირის (აჭარა) საბჭოთა მეურნეობამ მიმღებ პუნქტს მწვანე მანდარინის ნაყოფი ჩააბარა. პუნქტში კი მანდარინს ხელოვნურად სითბოს საშუალებით აყვითლებენ, რაც უარყოფითად მოქმედებს ხარისხზე. არაწესიერი დახარისხების ფაქტებს ვხვდებით მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია.

ზემოხსენებული ფაქტები მოწმობენ, რომ მანდარინის გადამუშავებასა და გადაზიდვაში მდგომარეობა დამაფიქრებელია. დამამზადებელმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაჰქმნან მუშაობა და სასწრაფოდ გამოასწორონ შემჩნეული ნაკლოვანებანი.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მანდარინის კრეფის ტემპების გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მანდარინის დროულად გადამუშავებასა და მის გადაგზავნას. განა დამამზადებელი ორგანიზაციის ცუდი მუშაობისათვის პასუხისმგებელი არ არიან რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები?

19 დღე დარჩა იმ დრომდე, როცა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეები თავისი ბიულეტენებით მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რომ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში აირჩიონ ლენინ-სტალინის პარტიის ბოლომდე ერთგული ადამიანები. საარჩევნო კამპანიამ არნახულად გაზარდა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიული დღის — 12 დეკემბრის ღირსეულ შეხვედრასთან ერთად კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ყურადღება მანდარინის დამზადება-გადაგზავნის სამუშაოებისადმი, აზვირთებული საწარმოო და პოლიტიკური ენტუზიაზმი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უკეთ წარსამართავად.

წელს საბჭოთა კავშირის მშრომელები საქართველოს ციტრუსთა პლანტაციებიდან მოელიან 280.000.000 ცალ მანდარინს. და ეს საბრძოლო დავალება არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შევასრულოთ. ასეთია სუბტროპიკული რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების ღირსების საქმე.

# ჩ ი ნ ე თ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## ცვლილებანი ნანკინის მთავრობის შემადგენლობაში

**ნანკინი,** 21 ნოემბერი (საკდესი). დღეს გამოაცხადეს ნანკინის მთავრობის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებანი. შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალი ძიან-ძო-პინი დაინიშნა ანხუეის პროვინციის მთავრობის თავმჯდომარედ. მრეწველობის მინისტრი უტინ-ჩანი დაინიშნა გუიჯოუს პროვინციის მთავრობის თავმჯდომარედ, შანხაის ფრონტის ყოფილი სარდალი გენერალი ჩან ძი-კუნი — ხუნანის მთავრობის თავმჯდომარედ, გენერალი ხო ჩენ-ჩუნი —ხებეის მთავრობის თავმჯდომარედ. შინაგან საქმეთა ახალ მინისტრად დანიშნულია ხო ძიანი—ხუნანის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე. მრეწველობის მინისტრად დროებით დაინიშნა ჩენ ტიან-გუ.

ამ ცვლილებებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. მთავრობის შემადგენლობიდან პერიფერიებში გადაყვანილი არიან პროიაპონური ორიენტაციის წარმომადგენლები, იაპონიასთან შეთანხმების მომხრენი—ძიან ძო-პინი და უტინ-ჩანი; არმიიდან წავიდა ჩან ძი-კუნი, რომელიც ეკუთვნის „პოლიტიკურ მოძღვრებათა" ჯგუფს (რეაქციული ჯგუფი, რომელიც მოითხოვს იაპონიასთან შეთანხმებას).

იაპონიასთან შეთანხმების მომხრენი დაინიშნენ პროვინციულ მთავრობათა თავმჯდომარეებად, რომელთა მთელი შემადგენლობა მტკიცედ განსაზღვრა ცენტრალურმა მთავრობამ. ეს იშვიათი შემთხვევაა ჩინეთის პრაქტიკაში. ჩვეულებრივ პროვინციულ მთავრობათა წევრებს ნიშნავს თვითონ პროვინციული მთავრობის თავმჯდომარე, მაშასადამე—თავისი პოლიტიკური მომხრეთა წრიდან.

ჩინელთა წრეებში ამ ცვლილებებს აფასებენ, როგორც იაპონიასთან შეთანხმების მომხრეთა განდევნას მთავრობიდან.

## „ჯუნიანჟიბაო" დედაქალაქის ჩუნცინში გადატანის შესახებ

**ნანკინი,** 21 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ჯუნიანჟიბაო", უკეთებს რა კომენტარიებს მთავრობის გადაწყვეტილებას დედაქალაქის ჩუნცინში გადატანის შესახებ, სწერს: „ჩვენი მთავრობა გადადის დასავლეთში არა მტრის წინაშე შიშის გამო, არამედ იმისათვის, რომ დაამარცხოს მტერი, არა იმის გამო, რომ ჩვენ არ მოგვეპოება ძალები წინააღმდეგობის გასაწევად, არამედ იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ყველა ჩვენი ძალა. ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი მთავრობის მზადყოფნაში ბოლომდე დაიცვას ჩვენი ქვეყნის ნაციონალური არსებობა და ღირსება. რა მსხვერპლის გაღებაც უნდა მოგვიხდეს, ჩვენ დავრაზმავთ ჩვენს ძალებს მთავრობისათვის მხარის დასაჭერად".

## გერმანიის ფაშიზმის პროპაგანდა უცხოეთში

**პარიზი,** 16 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის მრეწველთა ორგანო „ბიულეტენ კოტიდიენი" ახასიათებს რა ფაშისტური გერმანიის ინტენსიურ საქმიანობას ბალტიის ქვეყნებში, სწერს:

„გერმანია მრავალ მასწავლებელსა და პროპაგანდისტს გზავნის ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში. გერმანიის მიუნხენის აკადემიამ ფაშისტური პროპაგანდისათვის გაგზავნა მასწავლებლები მალმეში, ზუნდსვალში და გევლეში (შვეცია) იმ მიზნით, რომ „გამოიწვიოს ნდობა თანამედროვე გერმანიისა და მისი პოლიტიკისადმი".

შემდეგ ჟურნალს მოჰყავს შვედური გაზეთის „ფოლკეტს თაგბლატის" მტკიცება, რომ ერფურტში (გერმანია) შექმნილია სპეციალური დაწესებულება „ველტდინსტი", რომელიც სკანდინავიაში ავრცელებს ათასობით ფურცლებს ჰიტლერისა და ფაშისტების სხვა მეთაურთა სიტყვებით.

გერმანიის მთავრობამ, როგორც ჟურნალი სწერს, გადასწყვიტა შარშან აგვისტოში გაეგზავნა სტუდენტები დანციგის, ტარტუს (იურიევი) და რიგის უნივერსიტეტებში. ამ სტუდენტებს აგროვებენ ყველაზე აქტიურ ნაციონალ-სოციალისტებისაგან და მათი დანიშნულება არის ყველაზე მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ ბალტიის გერმანელებთან.

გერდერის გერმანული ინსტიტუტი რიგაში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა ბალტიის ქვეყნების გერმანელ ნაციონალურ უმცირესობათა შორის და აგროვებს ჯაშუშებისა და დივერსანტების კადრებს „ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის".

გაძლიერებულ აქტიურობას იჩენს აგრეთვე გერმანული საინფორმაციო ბიურო „დნბ" (დოიჩე ნახრიჰტენ ბიურო), რომელიც ფაშისტურ ინფორმაციას ავრცელებს ბალტიის ქვეყნების პრესაში. პროპაგანდის ერთერთ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე პედაგოგიური ჟურნალები, დანიშნული ბალტიის ქვეყნებში მომუშავე გერმანელ მასწავლებელთათვის. მასწავლებელთათვის დანიშნულ ერთერთ წიგნში ნათქვამია: „დადგება დღე, როდესაც გერმანია გვიჩვენებს თავს აღმოსავლეთ ევროპის ზონაში, ესე იგი, ცენტრალური ევროპის აღმოსავლეთით, ფინეთის ყურის, შავი ზღვისა და ადრიატიკის შუა, სადაც გერმანელები დაფანტულად ცხოვრობენ".

ესტონეთში გერმანია ფინეთის ყურის სანაპიროზე ყიდულობს მიწებს. გერმანელებმა შეისყიდეს მთელი რიგი კუნძულები, რომელთა სტრატეგიული მნიშვნელობაც უდავოა. კუნდის კუნძულები, ვეზენბერგის ჩრდილოეთით, ასერისა და პალდისკის კუნძულები ამჟამად გერმანელების ხელშია.

## ფაშისტური შეთქმულება საფრანგეთში—ბერლინისა და რომის მოწყობილია

**პარიზი,** 21 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის ხელისუფალნი უკიდურეს თავდაჭერილობას იჩენენ გახცხადებებში ფაშისტური შეთქმულების გამომჟღავნების შესახებ, მაგრამ შეთქმულების მასშტაბი იმდენად ფართოა, რომ ხელისუფალნი იძულებულნი არიან ეს აღიარონ. პარიზში დააპატიმრეს მსხვილი ფრანგი მრეწველი მორო დე ლა მეზი. შეთქმულებთან იგი განაგებდა ფაშისტური შეთქმულებისათვის იარაღის საწყობთა შექმნას ყველგან საფრანგეთში. უდავოა, რომ დე ლა მეზი შეთქმულების ერთერთი ხელმძღვანელია.

ჟურნალისტთა წრეებში დაჟინებით დადის ხმები, რომ პოლიტიკური პოლიციისათვის უკვე ცნობილია ფაშისტური შეთქმულების უმაღლეს ხელმძღვანელთა უმრავლესობის სახელები, და რომ ძებნას, რასაც პოლიცია აწარმოებს, შეიძლება მოჰყვეს ისეთი სიურპრიზები, როგორიც დღემდე აზრადაც კი არ მოსდიოდათ.

პრესაში გამოქვეყნებული მასალები მოწმობენ, რომ გამომჟღავნებული ფაშისტური შეთქმულება მიზნად ისახავდა ფაშისტური დიქტატურის დამყარებას საფრანგეთში.

ფაშისტური მებრძოლი ორგანიზაციები, როგორც სჩანს, შესდგებიან პატარ-პატარა რგოლებისაგან, რომელნიც გაერთიანებული არიან უფრო დიდ ერთეულებად. ამ რგოლებს, ალბათ, აქვთ თანამედროვე იარაღის საკმაო მარაგი.

სავსებით ცხადია, რომ ფაშისტური შეთქმულება მჭიდროდ დაკავშირებულია უცხოეთის ფაშიზმთან, და რომ იმ კოლოსალური სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ფაშისტ შეთქმულებს გააჩნდათ, საზღვარგარეთიდან შემოდიოდა.

„ლუმანიტე" სწერს, რომ შეთქმულები ბრძანებებს რომიდან და ბერლინიდან ღებულობდნენ. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ფელკიშერ ბეობახტერი" და იტალიის პრესა ამართლებენ ფაშისტურ შეთქმულებას.

## ფაშისტური იტალიის „მტკიცე პოლიტიკა" აბისინიაში

**რომი,** 20 ნოემბერი (საკდესი). სტეფანის სააგენტოს ცნობით, გენერალი გრაციანი მოხსნეს მეფის მოადგილის პოსტიდან აბისინიაში. მის მაგივრად დანიშნეს ჰერცოგი აოსტა.

ამავე დროს თავისი პოსტებიდან ხსნიან აბისინიის სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორებს. სამოქალაქო გუბერნატორად ნიშნავენ კაროსელის, სამხედრო გუბერნატორად კი—გენერალ კავალეროს. ეს ცვლილებანი, რომლებიც მოჰყვა მთელ რიგ ცნობებს იმის შესახებ, რომ აბისინიის ხალხი განაგრძობს ბრძოლას იტალიელი ოკუპანტების წინააღმდეგ, მოწმობენ სურვილს—გააძლიერონ „მტკიცე პოლიტიკის კურსი" აბისინიის ხალხის მიმართ.

მუსოლინიმ მიიღო იტალიის აფრიკის მინისტრის პორტფელი, რომელიც წინათ ლესონას ეჭირა.

# ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი

## საბჭოთა მფრინავების საერთაშორისო რეკორდები

**მოსკოვი,** 21 ნოემბერი (საკდესი). ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდიუმმა შეიტანა საერთაშორისო რეკორდების ოფიციალურ ცხრილში მ. ი. ალექსეევის სიმაღლეზე ფრენა და პ. მ. სტეფანოვსკისა და ვ. ს. გრიზოდუბოვას სიჩქარის ფრენა.

გამომცდელმა-მფრინავმა ამხ. ალექსეევმა თავისი სარეკორდო სიმაღლეზე ფრენა 1000 კილოგრამი ტვირთით მოახდინა 2 სექტემბერს. ის აფრინდა ორმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავით. გაფრენიდან 1 საათისა და 15 წუთის შემდეგ ამხ. ალექსეევმა მიაღწია 12.246 მეტრ სიმაღლეს. ფრენა გაგრძელდა 1 საათსა და 45 წუთს

გამომცდელმა მფრინავმა კაპიტანმა ამხ. სტეფანოვსკიმ სიჩქარის საერთაშორისო რეკორდი დაამყარა 2 ოქტომბერს მსუბუქი სასპორტო „უტ-2" ჰიდროთვითმფრინავით. მასთან ერთად შტურმანად ფრინავდა კაპიტანი პ. ი. ნიკიტინი. 100 კილომეტრ უბანზე მათ საათში 210 კილომეტრის სიჩქარე განავითარეს.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის წარჩინებულმა მფრინავმა ამხ. გრიზოდუბოვამ სიჩქარის რეკორდი დაამყარა მსუბუქი „უტ-1" თვითმფრინავით. 100 კილომეტრი დისტანცია მან გაიფრინა 190,88 კილომეტრი საშუალო სიჩქარით საათში. ეს უკვე მისი მესამე საერთაშორისო რეკორდია.

## კონვეიერიდან გადმოიღეს მეათასე „ზისი"

გუშინ, დილის 9 საათზე, მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან გადმოიღეს მეათასე მსუბუქი მანქანა „ზისი".

კონვეიერთან გაიმართა ხანმოკლე მიტინგი.

ამჟამად მსუბუქი მანქანები „ზისი" შეიძლება უკვე ვნახოთ საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში. ავტომობილებს უშვებენ სხვადასხვა ფერისას—შავს, მუქ ლურჯს, მუქ რუხს, ალუბლის ფერს, მუქ მწვანეს და სხვ.

„ზისის" პირველი ორი საცდელი ავტომობილი ხელით იქნა აწყობილი და დამთავრებული 1936 წლის აპრილის დამლევს, ხოლო წარსული წლის 3 ნოემბერს უკვე კონვეიერიდან ჩამოხსნეს მანქანები № 1 და 2.

„ზისის" მსუბუქი ავტომობილების გამოშვება თანდათან მატულობს. ამა წლის იანვარში ქარხანამ საწყობს გადასცა 8 მანქანა, ივლისში—101, ოქტომბერში კი — 213. ამჟამად ქარხანა ყოველდღიურად ათ-ათ მანქანას უშვებს.

(„პრავდა")

## კოლმეურნეები ხელმძღვანელ სამუშაოზე

**ვორონეჟი,** 21 ნოემბერი (საკდესი). ვოროშილოვის რაიონის კოლმეურნეობებში ამ უკანასკნელ ხანს მრავალი რიგითი კოლმეურნე პასუხსაგებ სამუშაოზეა წამოყენებული.

მისოვსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ფოფანოვმა დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა. კოლმეურნეობა, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, მისი ხელმძღვანელობით მოწინავეთა რიცხვში ჩადგა. კოლმეურნეობამ უხვი მოსავალი მიიღო, განამტკიცა თავისი მეურნეობა. ახლა ამხ. ფოფანოვი დაწინაურებულია ტულკინის მტს-ის დირექტორის თანამდებობაზე. მტს-ში მუშაობის პირველსავე დღეებში მან მიაღწია სატრაქტორო პარკის ნაყოფიერების 12 პროცენტით ამაღლებას მზრალად ხვნაში.

სტახანოველი ტრაქტორისტი ზინა კოტელნიკოვა, განთქმული თავისი რეკორდებით ტრაქტორზე, წამოყენებულია ვოროშილოვის მტს-ის მიმომსვლელ მექანიკოსად. კოლმეურნეები შიპი და სიმანოვი, რომლებმაც დაამთავრეს ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კურსები, მუშაობენ უბნის აგრონომებად.

რაიონში სულ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია 29 საუკეთესო კოლმეურნე.

## პარტკომთა მდივნების სემინარი

**სტალინო,** 21 ნოემბერი (საკდესი). პარტიული მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად და პარტმუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად უკრაინის კ. პ. (ბ) სტალინოს ქალაქკომმა მოაწყო პარტკომთა მდივნების სემინარი. სემინარს ხელმძღვანელობს უკრაინის კ. პ. (ბ) დონეცის ოლქკომის მდივანი ამხ. პრამნეკი.

უახლოეს ხანში ასეთი სემინარები პარტიული მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად მოეწყობა პარტიის რაიკომებთან.

## ალვარეს დელ ვაიოს წერილი პოლიტიკური კომისრებისადმი

**ბარსელონა,** 20 ნოემბერი (საკდესი). ალვარეს დელ ვაიომ, რომელიც სტოვებს გენერალური სამხედრო კომისრის პოსტს, გამოსათხოვარი წერილით მიმართა პოლიტიკურ კომისრებს. ამ წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავს თუ რა პატივია ეკუთნოდეს სახალხო არმიას. იგი სწერს: „თქვენი ამოცანაა შეჰქმნათ საჭირო სამხედრო და პოლიტიკური ვითარება და აიცილოთ ის დაბრკოლებანი, რომლებიც გამარჯვების გზაზე დგანან; თქვენი პოლიტიკა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — უყოყმანოდ მხარისდაჭერა რესპუბლიკის მთავრობისათვის. უკანასკნელად გამოვედი რა როგორც გენერალური სამხედრო კომისარი, მე ვთქვი, რომ საჭიროა გადავაქციოთ მტრის უკანასკნელი შემოტევა ახალ გვადალახარად. კომისარი პირველი უნდა იყოს შეტევაში და უკანასკნელი უკან დახევის დროს".

## საფრანგეთის ახალი ელჩი ბარსელონაში

**პარიზი,** 20 ნოემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო ბარსელონადან იუწყება, რომ საფრანგეთის ახალი ელჩი ესპანეთში ლაბონი ბარსელონას ჩავიდა.

**ლონდონი,** 20 ნოემბერი (საკდესი). „დეილი ჰერალდის" სიტყვით, საფრანგეთის ახალი ელჩის ლაბონის დანიშვნას ბარსელონაში აქვს საყვედურის ხასიათი ჩემბერლენისა და იდენის მიმართ შოტანისა და დელბოსის მხრით. „ეს დანიშვნა,—განაგრძობს გაზეთი,—წინასწარ განზრახულია. ინგლისის მთავრობას ბარსელონაში ჰყავს მხოლოდ საქმეთა რწმუნებული, თავისი რანგით ინგლისის იმ დიპლომატიურ აგენტზე დაბლა მდგომი, რომელიც სალამანკაში იგზავნება".

ინგლისის ელჩი ესპანეთში სწერს დასასრულ გაზეთი, ჯერ კიდევ „უმიზნოდ" იმყოფება ჰენდეიში. მაგრამ, ხმებია, მას მალე გაიწვევენ.

## გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის კონფერენცია

**ბარსელონა,** 21 ნოემბერი (საკდესი). მადრიდში გაიხსნა გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის კონფერენცია. კონფერენციაზე დიდი მოხსენებით გამოვიდა გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის მადრიდის ორგანიზაციის მდივანი არკანადა. მან ხაზი გაუსვა, რომ ესპანელ ახალგაზრდობას მტკიცედ სწამს რესპუბლიკის არმიის გამარჯვება, და აღნიშნა, რომ მადრიდის ორგანიზაცია, ისე, როგორც ახალგაზრდობის მთელი ესპანეთის ორგანიზაცია, ატარებს ყველა თავისი წევრის მობილიზაციას.

## დეპუტატთა პალატის მემარცხენე ჯგუფების დელეგაციის სხდომა

**პარიზი,** 21 ნოემბერი (საკდესი). 19 ნოემბერს შესდგა დეპუტატთა პალატის მემარცხენე ჯგუფების დელეგაციის სხდომა. დელეგაციამ მოუსმინა მოსამსახურეთა ცენტრალური გაერთიანების წარმომადგენლებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ მიიღონ პრემიერ შოტანის წინადადებანი ხელფასის გადიდებაზე ისეთი ოდენობით, რაც მოსამსახურეთა მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. კომუნისტმა დეპუტატმა ჟაკ დიუკლომ განაცხადა, რომ კომუნისტები მხარს უჭერენ მოსამსახურეთა მოთხოვნებს.

კომუნისტების წინადადებით მემარცხენე ჯგუფების დელეგაციამ დაადგინა, მოსთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ახსნა-განმარტება ფაშისტურ შეთქმულებაზე, საფრანგეთის რესპუბლიკური რეჟიმის წინააღმდეგ.

შოტანმა—მემარცხენე ჯგუფების დელეგაციას განუცხადა, რომ მთავრობა დათმობაზე წავა მოსამსახურეთა მიმართ და, ნაცვლად 1 ნოემბრისა, 15 ოქტომბრიდან გაადიდებს ხელფასს.

მოსამსახურეებმა მემარცხენე ჯგუფების დელეგაციას აცნობეს, რომ ისინი შოტანის წინადადებას არ მიიღებენ და ეცდებიან თავის პირვანდელ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

## ავსტრიის კონსტიტუციის „რეფორმა"

**ვენა,** 21 ნოემბერი (საკდესი). ავსტრიის მთავრობის პრესა ხმაურსა სტეხს ავსტრიის კონსტიტუციის ეგრეთწოდებული „რეფორმის" საკითხის ირგვლივ. ცალკეული გაზეთები აქვეყნებენ სტატიებს იმაზე, რომ განზრახულია მთელ რიგ ცვლილებათა შეტანა ამ კონსტიტუციაში. ამასთან გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ კონსტიტუციის პრინციპები უცვლელი უნდა დარჩეს. ეს ნიშნავს, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე ცვლილებებზე ავსტრიაში არსებული ფაშისტური დიქტატურის რეჟიმის ლიკვიდაციის ან თუნდაც შესუსტების მიმართულებით და დემოკრატიულ თავისუფლებათა შემოღებაზე, როგორც ამას ცდილობენ მშრომელი მასები.

ავსტრიის „წოდებრივ კორპორატიული" ფაშისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია, გამოცხადებული 1934 წლის 1 მაისს, წარმოადგენს მხოლოდ იურიდიულ საფარს ფაშისტური დიქტატურის რეჟიმისათვის.

ავსტრიის ხალხის ფართო მასების უუფლებო მდგომარეობამ გამოიწვია მასობრივი მოძრაობის გაშლა ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის, არსებული კონსტიტუციის წინააღმდეგ და დემოკრატიულ თავისუფლების აღდგენისათვის. ეს მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერდება იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება საფრთხე ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის გერმანელი ფაშისტების მხრივ, რომელნიც ცდილობენ ძალით დაიპყრონ ავსტრია ან ამათუიმ ფორმით შეუერთონ იგი ჰიტლერულ გერმანიას. ამ ცოტა ხნის წინათ 100 ათასზე მეტი მუშისა და მოსამსახურის, მათ შორის მრავალი მსხვილი საწარმოს მუშებისა და მოსამსახურეების არჩეულმა რწმუნებულებმა ავსტრიის კანცლერ შუშნიგს გადასცეს მემორანდუმი, რომელშიც ისინი მოითხოვენ ავსტრიის ფაშიზმის მიერ ლიკვიდირებულ დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენას.

მაგრამ ავსტრიის ახლანდელი ხელმძღვანელები არა თუ უარჰყოფენ ამ მოთხოვნებს, არამედ ცდილობენ კიდეც განამტკიცონ ფაშისტური რეჟიმი, რისთვისაც ტერორს მიმართავენ ხალხის მასების რევოლუციური წარმომადგენლების წინააღმდეგ.

## ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საგანგებო სესიაზე

**ნიუ-იორკი,** 20 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საგანგებო სესიის მორიგ სხდომაზე იზოლაციონისტების წარმომადგენლებმა კვლავ მოსთხოვეს რუზველტს, გამოაქვეყნოს დეკლარაცია, რომელშიც აღიარებული იქნება ომის მდგომარეობა ჩინეთში, რათა შესაძლებელი იყოს ნეიტრალიტეტის კანონის გამოყენება იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის მიმართ. საწინააღმდეგო თვალსაზრისით გამოვიდა მერილენდის შტატის წარმომადგენელი დემოკრატი ლუისი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რათა კონგრესს რუზველტისათვის მიეცა რწმუნებანი იაპონიის წინააღმდეგ ეკონომიური სანქციების გამოსაყენებლად.

ლუისმა მოითხოვა აგრეთვე, რათა იაპონიას არ მიეცეს სავაჭრო კრედიტები.

## სიღატაკე კანადის ველიან პროვინციებში

**ნიუ-იორკი,** 21 ნოემბერი (საკდესი). უკიდურესი სიღატაკეა გამეფებული კანადის ველიანი პროვინციების მოსახლეობაში, სადაც ძლიერმა გვალვამ გაანადგურა ხორბლის ნათესთა მეტი ნაწილი. განსაკუთრებულ კრიტიკულ მდგომარეობაშია სასკაჩევანის პროვინცია, რომელიც ჩვეულებრივად ხორბლის ყველაზე უხვ მოსავალს იძლეოდა. ახლა, მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებული იქნება მიმართოს მთავრობის დახმარებას. სასკაჩევანის პროვინციის მთელი რიგი ქალაქები განიცდიან წყლის მწვავე ნაკლებობას, რის გამოც ვრცელდება სურავანდი, სახადი და სხვა სენი.

# ენერგიული, ზუსტი ორგანიზაციული და საგიტაციო მუშაობით მოვამზადოთ ამომრჩეველთა მასები ერთსულოვანი ხმის მიცემისათვის სსრკ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ

## კირილე გიორგის-ძე ბეჭვაია



ამხანაგი კირილე ბეჭვაია საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია.

მეფისა და მენშევიკების მუხანათური პოლიტიკით დაბეჩავებული გლეხის გიორგი ბეჭვაიას შვილს — კირილეს ბავშვობისას მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. იგი გატაცებული იყო სწავლით, მაგრამ მძიმე ეკონომიური პირობები ზღუდავდა მის მისწრაფებას.

პატარა კირილე მშობლებმა სოფელ სალხინოს ორკლასიან სასწავლებელში მიაბარეს. აქ კურსის დამთავრების შემდეგ 1916 წელს ამხ. კირილე შევიდა უმაღლეს დაწყებითს სასწავლებელში. 1920 წელს ამხ. კირილემ დაამთავრა ეს სასწავლებელი და შევიდა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც შემდეგ პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. აქ სწავლობდა 1924 წლამდე.

1921 წელს ამხ. კირილე ბეჭვაია შევიდა კომკავშირში. სამი წლის შემდეგ მიღებულ იქნა პარტიის წევრობის კანდიდატად, 1927 წელს კი გადაყვანილ იქნა პარტიის წევრად. ამ დღიდან მას მუდამ ახედავთ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე.

1927 წელს ამხ. კირილე მუშაობდა კომკავშირის სოხუმის სამაზრო-საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, 1928-29 წელს კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად და საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1929 წელს ის სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა პიონერთა განყოფილების გამგედ და იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

ამხ. ბეჭვაია 1930 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქ ის ამავე დროს ინსტიტუტის პარტკომის მდივნად მუშაობდა.

1925 წლიდან 1926 წლამდე ის იყო წითელი არმიის რიგებში, სადაც ჩააბარა გამოცდები საშუალო მეთაურის წოდებაზე.

1931 წლის ბოლოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მობილიზაციის წესით ის გაგზავნა აფხაზეთში სამუშაოდ, აქ ის მუშაობდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისრის მოადგილედ.

შემდეგ ის კვლავ გადაიყვანეს პარტიულ სამუშაოზე.

1932 წელს მუშაობდა პარტიის სამტრედიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო 1933 წლიდან 1934 წლის იანვრამდე—პარტიის ზუგდიდის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1934 წლის იანვრიდან 1937 წ. ივლისამდე იყო პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1937 წლის 22 ოქტომბრამდე—პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად.

ლენინური კომკავშირის და ბოლშევიკური პარტიის რიგებში აღზრდილი, ის მუდამ იყო და არის ლენინ-სტალინის გმირული პარტიის ერთგული შვილი.

ამხ. კირილე ბეჭვაიას აფხაზეთის მშრომელები იცნობენ როგორც შეურიგებელ მებრძოლს კლასობრივი მტრების — კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ - ბუხარინელი არამზადების წინააღმდეგ. იგი თავდადებულია ხალხის ინტერესებისათვის და მშრომელებსაც ამიტომ უყვართ თავისი წიაღიდან გამოსული ეს ღირსეული მუშაკი.

წინასაარჩევნო კრებებზე აფხაზეთის მშრომელებმა ერთხმად გამოსთქვეს აზრი, რომ ამხ. კირილე ბეჭვაია ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია და ნამდვილად გაამართლებს იმ იმედებს, რასაც მაზე აფხაზეთის მშრომელნი ამყარებენ.

## ნადეჟდა ანდრიას-ასული კოჩიევა



ნადეჟდა ანდრიას-ასულ კოჩიევას მთელ სამხრეთ - ოსეთში იცნობენ. იგი აქ ერთერთი ყველაზე მოწინავე, ყველაზე გამოჩენილი პიროვნებაა. არ არის ისეთი კოლმეურნეობა სტალინირიდან დაწყებული ვიდრე როკის უღელტეხილამდე და ოქონოდან ვიდრე ლურშევამდე, რომ იქ ნადეჟდა კოჩიევას არ ჰყავდეს თავის მიმდევრები და მოწაფეები.

ვინ არის ნადეჟდა ანდრიას-ასული და ან რით მოიპოვა მან ხალხში ასეთი პატივისცემა და პოპულარობა?

ნადეჟდა კოჩიევა ღარიბი ოსი გლეხის შვილია. იგი დაიბადა 1900 წელს სოფ. კვერნეთში, რომელიც მაშინდელი გორის მაზრის ფარგლებში შედიოდა. ბავშვობიდანვე ნადეჟდა მუშაობდა სახლში და ეხმარებოდა მშობლებს: მწყემსავდა პირუტყვს, გადიოდა მინდვრის სამუშაოებზე და საერთოდ ეწეოდა ღარიბი გლეხის მძიმე ჭაპანს. სწავლის მიღებასა და განათლებაზე იმ შავბნელ დროში ნადეჟდას და მის ტოლებს ოცნებაც არ შეეძლოთ.

17 წლის ნადეჟდა ღარიბმა მშობლებმა „მოიშორეს" და მიათხოვეს სოფ. რაროში მცხოვრებ ეფიმე ფირუზას-ძე კოჩიევს. აქაც უსიხარულო და მძიმე გამოდგა ცხოვრება ნადეჟდასთვის. სიღატაკე ვერ დასძლიეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა, რომელთაც სანახევროდ სხვის კარზე მუშაობა უხდებოდათ ლუკმაპურის გულისთვის.

1917 წელს აჯანყებულმა პროლეტარიატმა დაამხო თვითმპყრობელობა. საქართველოში ხელისუფლების სათავეში მენშევიკები მოექცნენ, რომლებიც მათრახითა და რეპრესიებით გაუმასპინძლდნენ მშრომელებს. მენშევიკების შოვინისტური და კაცი-ჭამია პოლიტიკის წინააღმდეგ აღსდგნენ მასები. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში იფეთქა აჯანყებებმა. აჯანყდნენ სამხრეთ-ოსეთის მშრომელებიც. ნადეჟდა კოჩიევაც აჯანყებულებთან ერთად იყო.

1920 წელს მენშევიკებმა ბარბაროსულად ააოხრეს მთელი სამხრეთ-ოსეთი. ნადეჟდას ოჯახი იძულებული გახდა გაქცეულიყო ჩრდილოეთ-ოსეთში. პირველ ხანებში სხვა ლტოლვილებთან ერთად ისინი დასახლდნენ სოფ. დარკოხში, ხოლო შემდეგ მეზობელ სოფელ ნოგირში გადასახლდნენ. აქ საბჭოთა ხელისუფლება იყო და ნადეჟდას ოჯახმა მიიღო მიწა და შეუდგა საოჯახო კერის ხელახლა შექმნას. 1928 წელს ამ სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. ნადეჟდას ოჯახი პირველი იყო, რომ ამ კოლმეურნეობაში შევიდა.

1932 წელს ნადეჟდა კოჩიევა ხელახლა გადმოსახლდა სამხრეთ-ოსეთში და შევიდა სოფ. ტონტობეთის კოლმეურნეობაში. თავიდანვე ნადეჟდამ აქ თავი ისახელა დამკვრელური და ენერგიული, თავდადებული მუშაობით. ამ კოლმეურნეობას მეცხოველეობის ფერმა აქვს და ნადეჟდა აქ მუშაობდა მწველავად. სტახანოვური მუშაობის მეთოდების დანერგვაში ნადეჟდამ მთავარი როლი ითამაშა არა მარტო ტონტობეთის კოლმეურნეობაში, არამედ მთელ სამხრეთ-ოსეთში. მან სახელი გაითქვა საქონლის სანიმუშოდ მოვლით, ნამატის შენარჩუნებით და წველადობის გადიდებით.

სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებში ხმა გავარდა ამ სახელოვანი მწველავი-ქალის შესახებ. მოდიოდნენ სხვადასხვა კოლმეურნეობებიდან, რომ მის მუშაობას გასცნობოდნენ, გადაეღოთ მისი გამოცდილება, და ნადეჟდა კოჩიევაც ყველას უხსნიდა და აცნობდა თავის წარმატებათა „საიდუმლოებებს".

როგორც შრომის გმირი, სტახანოვური მეთოდების დამნერგავი და წარჩინებული კოლმეურნე, ნადეჟდა კოჩიევა მთავრობამ დააჯილდოვა საპატიო ნიშნის ორდენით.

ორდენოსანი ნადეჟდა ანდრიას-ასული კოჩიევა სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა ღირსეული კანდიდატია ეროვნებათა საბჭოში ასარჩევად.

## ხუსია მევლუდის-ძე დუმბაძე



ქედის რაიონის სოფელი სიხალიძეები წარსულში ბეგებისა და ალალარების მძიმე უღელქვეშ იმყოფებოდა. უქმე დღეებში, ჟანდარმერიის პოლკოვნიკის თურმანიძის ბრძანებით, გლეხები მეჩეთთან იკრიბებოდნენ. ის გლეხები, რომლებსაც ბეგებისა და ალალარებისათვის ლალა არ ჰქონდათ გადახდილი, შუა მოედანზე გამოჰყავდათ, და ყველას თვალწინ იწყებოდა „ეგზეკუცია".

ხუსია დუმბაძე ექვსი წლისა იყო, როცა მან კოშმარული წუთები განიცადა; იგი უყურებდა, თუ როგორ სცემდნენ მის მამას. მოხუც მევლუდს ნახევარი საათის განმავლობაში სცემდა ალალარების სამი ერთგული მსახური. ხუსიას დედა—ბინასი სათხოვნელად ეახლა მამუდ-აღას. უკანასკნელმა ბრძანა—კარგა შეახურეთ როზგითო.

ქალს პირიდან სისხლი წამოსკდა. ხუსიას დედა ამის შემდეგ დიდხანს ავადმყოფობდა.

ამხ. დუმბაძეს კარგად ახსოვს ის დღეები, როცა გლეხები მიდიოდნენ მეორე „აღა" გოჩელაშვილთან ქორწინების ნებართვის მისაღებად. ნებართვას მხოლოდ მას შემდეგ აძლევდნენ, როცა გლეხი ალალარებს საჩუქრებს მიართმევდა. იმას კი, ვინც ალალარების უნებართვოდ გაბედავდა ცოლის შერთვას, მძიმე სასჯელი მოელოდა.

ამხ. დუმბაძის მეხსიერებაში მკვეთრად არის აღბეჭდილი ის დრო, როცა სოფელ შარიძეების კულპან-აღა ქალიშვილთა ყიდვა-გაყიდვას ეწეოდა. ქალიშვილი, — იხსენებს ამხ. დუმბაძე,—40 მანეთად ფასობდა.

სოფელში, სადაც ხუსია ცხოვრობდა, სკოლა იყო. მაგრამ იქ მხოლოდ მდიდრების შვილები სწავლობდნენ. გლეხები ნახევრადმშიერები იყვნენ. თითქმის მთელი მოსავალი ბეგებისა და ალალარების ბეღლებში მიდიოდა. ამხ. დუმბაძეს არ ახსოვს ისეთი დღე, რომ მათ სახლში ნავთის ლამფა ნთებულიყო.

ნავთის ფული არ ჰქონდათ.

დუმბაძის ოჯახისათვის, ისე როგორც აჭარის ათასობით მშრომელთა ოჯახებისათვის, ახალი ცხოვრება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

უკვე 1921 წელს ამხ. დუმბაძე შევიდა ლენინურ კომკავშირში, 1926 წელს კი კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამხ. დუმბაძე ჯერ მუშაობს შავ მუშად, შემდეგ კი სხვადასხვა თანამდებობაზე ქედის და ხულოს რაიონებში.

რა სამუშაოსაც დააკისრებდა პარტია ამხ. დუმბაძეს, იგი მას ასრულებდა კეთილსინდისიერად, ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით. ყველგან და ყოველთვის იგი შეურიგებელ სიძულვილს იჩენდა ხალხის მტრებისადმი. ქედის რაიონში მილიციონერად, შემდეგ კი კონტრრევოლუციური მენშევიკების ნაბოლარების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის მეთაურად ყოფნის დროს ამხ. დუმბაძე არაერთხელ შებრძოლებია თავგამოდებით ხალხის მტრებს. ბანდიტური ხროვების ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობისათვის ამხ. დუმბაძე დააჯილდოვეს შინსახკომის ორგანოებმა.

ამხ. დუმბაძე იყო საზოგადოებრივი ბრალმდებელი ხალხის მტრების, კონტრრევოლუციური, სააჯანყებო, ჯაშუშურ - მავნებლური, დივერსიული, ტერორისტული ბანდის პროცესზე, რომელიც აჭარაში ჩატარდა. კოლმეურნეებმა დაავალეს მას მოეთხოვა სასამართლოსაგან უსასტიკესად დაესაჯა სამშობლოს საზიზღარი მოღალატეები.

ამჟამად ამხ. დუმბაძე მუშაობს ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მეურნის" თავმჯდომარედ.

ამხ. დუმბაძემ კოლმეურნეებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა მაღალი მოსავლის მისაღებად და კოლმეურნეთა შეძლებულობის დონის ასამაღლებლად.

კოლმეურნეობა „წითელ მეურნეს" აქვს თავისი სკოლა, სადაც სწავლობენ კოლმეურნეთა შვილები. წლითი-წლობით იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი. წელს შრომადღეზე მოდის 9 მან. და 30 კაპ. 25 კოლმეურნემ, მათ შორის ყოფილმა მოჯამაგირეებმა და ღარიბებმა სულეიმან თურმანიძემ, მამედ დევაძემ, ხატიჯე თურმანიძემ და სხვებმა, ახალი სახლები აიგეს.

ამხ. დუმბაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის. იგი აღჭურვილია მათი მაღალი ნდობით—დასახელებულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

## დროზე გავასწოროთ შეცდომები

თბილისის ლენინის რაიონის საარჩევნო უბანი № 10 ამომრჩეველთა სიების შედგენას დროზე შეუდგა. სიები შესაფერად მოწყობილ ოთახში გამოკრულია 12 ნოემბრიდან, მაგრამ მათში ბევრი უხეში შეცდომაა დაშვებული.

მაგალითად, იურევის ქ. № 8 სახლში მცხოვრებ ალექსანდრე დიმიტრის-ძე კოზაევის მაგიერ სწერია კოზაევი ალექსანდრე დიმიტრის-ასული, კურგანის ქ. № 6 სახლში მცხოვრებ აბელ სოლომონის-ძე ჩაგელაშვილის სახელი დამახინჯებითაა ჩაწერილი, აბელის მაგიერ სწერია არჩილ სოლომონის-ძე ჩაგელაშვილი და სხვ.

გამოტოვებულია სიაში მაგისტრალის ქ. № 39 სახლში მცხოვრები მიგუჩაძე ვლადიმერ ალექსის-ძე, ქაჯაია ვერა ნესტორის-ასული და სხვ. სულ კი გამოტოვებულია ამ უბანში მცხოვრები 8 ოჯახი, სადაც 20 ამომრჩეველია.

ყველა ეს გარემოება გვავალებს უფრო ზუსტად და გულისხმიერად მოვეკიდოთ ამომრჩეველთა სიების შედგენას.

მ. სირაძე

## საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და ნდობით აღჭურვილ პირთა თათბირი

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომში შემდგარი საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და ნდობით აღჭურვილ პირთა თათბირზე, სადაც მოსმენილ იქნა ინფორმაციები ადგილებიდან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, გამოირკვა, რომ რაიონის 35 საარჩევნო უბნიდან 15-ს ჯერ კიდევ არ აქვს ბინები გამონახული (ჭყონაგვარი, ზემო შუხუთი, ორაგვის ღელე, ჭინათი, ღრმაღელე, წითელი უბანი და გვიმბალაური).

სოფლსაბჭოს თავმჯდომარეები სრული უპასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამომრჩეველთა სიების შედგენის საქმეს, რის გამოც ლანჩხუთის სოფლსაბჭოს სიიდან გამორჩა 32 ამომრჩეველი, ნიგოითისას — 3, გვიმბალაურისას — 9, ქვემო ჩიბათისას — 7, ჭინათის საარჩევნო უბანში — 2.

სუფსის სოფლსაბჭოს მიერ ჩაშლილ იქნა ამომრჩეველთა სიების შედგენის საქმე, იქ მთელი ამომრჩეველთა სიის 50 პროცენტზე მეტი დამახინჯებულადაა გაკეთებული.

მთელ რიგ ადგილებში სასოფლო საბჭოებმა ამომრჩეველთა სიები ნაცვლად 12 ნოემბრისა 14 და 15 რიცხვებში გამოაკრეს: ორაგვის ღელის საარჩევნო უბანში, სუფსა ხილმალალის საარჩევნო უბანში, ღრმაღელის საარჩევნო უბანში.

## უკეთესად გავშალოთ საგიტაციო მუშაობა უბანში

(ფოთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

12 ნოემბერს ყველა საარჩევნო უბანში გამოაკრეს ამომრჩეველთა სიები. ახლა საუბნო საარჩევნო კომისიების მთელი მუშაობა იქითკენაა მიმართული, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამომრჩევლებისათვის საარჩევნო სიების, საარჩევნო კანონისა და ოლქში წამოყენებული კანდიდატების გაცნობა.

ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა კუნძულის მე-6 უბნის საარჩევნო კომისია (თავმჯდომარე ვ. სიხარულიძე), რომელმაც სანიმუშოდ მოაწყო საარჩევნო ბინა. ხმის მისაცემი ოთახი დაყოფილია შირმებით 16 კაბინად, კაბინებში გამოყვანილია ელექტროსინათლე, დგას მაგიდა საწერკალმით. კომისიის წევრები სისტემატურად ამოწმებენ თავის უბანში საარჩევნო კანონის შემსწავლელი წრეების მუშაობის ხარისხს.

კარგად მუშაობს კუნძულის საარჩევნო უბანი № 5 (თავმ-რე ან. ასანიძე). საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა შეისწავლეს თავის სამოქმედო უბანში მცხოვრები ამომრჩევლები. გამოარკვიეს, თუ როგორ სწავლობენ ისინი საარჩევნო კანონს. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ უბანში დიდი ჩამორჩენაა. კომისიის წევრთა ინიციატივით დამატებით შეიქმნა 5 წრე.

№ 10 საარჩევნო უბანში (თავმჯდომარე—ნ. სალია) საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტება სუსტად მიმდინარეობს. შემოწმებით გამოირკვა, რომ 80 კაცი ერთ წრეშია გაერთიანებული. ამ წრის მეცადინეობა მიტინგსა უფრო ჰგავს. ხელმძღვანელი შ. ფალავა მოუმზადებლად ცხადდება მეცადინეობაზე, რის შედეგად მსმენელები ცუდად ერკვევიან დებულების ცალკეულ საკითხებში.

ეს მაგალითი გამონაკლისი არ არის, მსგავს ფაქტებს სხვა უბნებშიაც შევხვდებით. დრო არ ითმენს. საჭიროა ამ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორება.

მ. მელიქიძე

## ზუსტად მოვაწყოთ წინასაარჩევნო აგიტაცია

თვალუწვდენელი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში დიდია პოლიტიკური აღმავლობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. მოსახლეობის სულ უფრო-და-უფრო ფართო ფენები პოლიტიკურად აქტიურნი ხდებიან საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში.

აგიტაციის ცენტრი ამჟამად საარჩევნო უბანშია. დიდ საგიტაციო მუშაობას ეწევიან პარტიული ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში. მაგრამ ამ მუშაობას სერიოზული ორგანიზაციული ნაკლოვანებანი აქვს. ძალიან ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ გაითვალისწინა, რომ ხშირად მუშები და მოსამსახურეები ცხოვრობენ არა იმ ოლქში, სადაც მათი საწარმო ან დაწესებულებაა. მაშასადამე, ყველა ისინი ერთ რომელიმე ოლქში კი არ მისცემენ ხმას, არამედ **სხვადასხვა ოლქში**—საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საარჩევნო კამპანია იმ პერიოდში შევიდა, როდესაც საჭიროა ღრმა და სერიოზული აგიტაციის გაწევა ამათუიმ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ. დიდი საგიტაციო მუშაობის ჩატარების მიუხედავად, სამრეწველო ცენტრების მსხვილ საწარმოებშიც კი ყველა მუშამ როდი იცის, რომ ხმა უნდა მისცეს იმ საარჩევნო უბანში, სადაც ცხოვრობს. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე ამხ. ნოსკოვმა — ნდობით აღჭურვილმა პირმა სტალინის ოლქის მე-56 საარჩევნო უბანში—გვიამბო: მისი საარჩევნო უბნის სახლების შემოვლისას მან გამოარკვია, რომ ბევრმა, ვინც სხვადასხვა დაწესებულებაში, ქარხანაში მუშაობს, ვერ სთქვა, ვის უყრიან კენჭს მათს საარჩევნო ოლქში. ცალკეულ მუშებს ისეთი წარმოდგენა შეუმუშავდათ, რომ ყველა ისინი, დამოუკიდებლად საცხოვრებელი ადგილისა, ხმას მისცემენ იმ კანდიდატს, რომელიც საწარმოს საერთო კრებაზე წამოაყენეს. ასეთივე ფაქტები მოიყვანა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე ამხ. ქილოვმაც.

ცნობილია, თუ რა დიდ როლს თამაშობდა აგიტაცია ბოლშევიზმის ისტორიის ყველა ეტაპზე. ბოლშევიკური აგიტაცია მუდამ იყო პოლიტიკურად ქმედი, მკვეთრი, მისაწვდომი და კონკრეტული. ბოლშევიკური აგიტაციის არსენალში, განსაკუთრებით საქარხნო ორგანიზაციებში, უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება დაგროვდა. აქ არიან ორგანიზებული აგიტკოლექტივები, გამოზრდილი არიან ათობით, ასობით და ათასობით მუშა-აგიტატორები. მთელი ეს ძალები, მთელი გამოცდილება გამოყენებულ უნდა იქნას დიფერენცირებული წინასაარჩევნო აგიტაციისათვის თვით საწარმოშიც და, უმთავრესად, საარჩევნო უბნებში. თვითეული რიგითი მუშა საწარმოდან შინ უნდა მიდიოდეს მომზადებული—განუმარტოს მეზობელს, ოჯახის მოზრდილ წევრს, თუ ვის უნდა მისცენ ხმა, როგორ ჩატარდება არჩევნები.

ბოლშევიკური აგიტაციის მთელი არსენალი ამჟამად გამოყენებულ უნდა იქნას მაქსიმალური მოქნილობით. ქარხნების, ფაბრიკების, დაწესებულებების, არტელების, კოლმეურნეობების, ახალშენებების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მუშათა და მოსამსახურეთა კრებები უნდა ჩაატარონ ცალცალკე იმ საარჩევნო ოლქების მიხედვით, სადაც ისინი ცხოვრობენ. ვთქვათ, მოსკოვის ქარხანა „დინამომ" ცალკე უნდა ჩაატაროს კრებები თავის ამომრჩეველ მუშათა, რომლებიც ცხოვრობენ პროლეტარსკის, სტალინის, მოლოტოვისა და სხვა ოლქებში. ამ კრებებზე საჭიროა ამომრჩევლებს ვუამბოთ იმ კანდიდატის შესახებ, რომელსაც კენჭს უყრიან მოცემულ კონკრეტულ ოლქში. საჭიროა დაუღალავად განვუმარტოთ ამომრჩეველს, რომ იგი **ირჩევს არა მუშაობის ადგილის მიხედვით, არამედ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.**

არცერთი კვარტალი, არცერთი სახლი არ უნდა დარჩეს საარჩევნო კამპანიაში ბოლშევიკური გავლენის გარეშე. ამას ივიწყებს ძალიან ბევრი პარტიული ორგანიზაცია. სტალინოგორსკში, ტულის ოლქში, ქიმკომბინატის პარტიულ ორგანიზაციას მხედველობიდან გამოეპარა მუშათა მთელი დაბა. კომბინატის პარტკომის მდივანმა უკანასკნელ დღეებამდე არ იცოდა, რომ მთელი რიგი სახლები შედის იმ საარჩევნო უბანში, რომელიც ქიმკომბინატის ტერიტორიაზეა. კომბინატის პარტიულ ორგანიზაციას არცერთი აგიტატორი, არცერთი მოსაუბრე არ გაუგზავნია ამ სახლებში. ასე ეპარებათ მხედველობიდან პარტიულ ორგანიზაციებს სახლები და კვარტალებიც კი.

კრასნოდარში კიროვის რაიკომმა № 29 საარჩევნო უბანზე მიამაგრა ხუთი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებს არც კი უფიქრიათ ნამდვილად შესდგომოდნენ აგიტაციას. კიროვის რაიკომს კი, რომელმაც ფორმალურად შეასრულა თავისი ფუნქცია, არ უფიქრია შეემოწმებინა, თუ როგორ მუშაობენ პირველადი ორგანიზაციები მათზე მიმაგრებულ უბნებში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა მიუთითა, რომ თვითეული რაიკომი აგებს პასუხს ორგანიზაციული და საგიტაციო მუშაობისათვის თავის ტერიტორიაზე. საგიტაციო მუშაობის ცენტრს წარმოადგენს საარჩევნო უბანი. აქეთკენ—ყველა ძალები, მთელი ყურადღება, აგიტაციის ყველა საშუალება. აქითკენ, **ნდობით აღჭურვილი პირის დასახმარებლად,** — პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების შემოწმებული აქტივი.

უფრო მეტად, უფრო ხშირად, უფრო სერიოზულად უნდა შევამოწმოთ ხარისხი, **შინაარსი აგიტაციისა.** ყოველდღიურად უნდა შევამოწმოთ აგიტატორები და გავუწიოთ მათ ინსტრუქტაჟი. პასუხსაგები და მადლიანი როლი აქვს ამჟამად თვითეულ ბოლშევიკურ აგიტატორს! უამბო ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებაზე—ეს ხომ ხშირად ნიშნავს მოუთხრო წარმტაცი ამბავი. დეპუტატობის ბევრი და ბევრი კანდიდატის ცხოვრება აღსავსეა გმირობითაც და თავგანწირული მუშაობითაც. საჭიროა მხოლოდ კარგად იცოდე იმ კანდიდატის ბიოგრაფია, რომლისთვისაც სწევ აგიტაციას, იცნობდე მის მუშაობას, მის დამსახურებას სამშობლოს წინაშე. კანდიდატებს შორის არიან ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, პარტიული ხელმძღვანელები, პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, მთელ ქვეყანაში ცნობილი მეცნიერები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, რომლებიც სახელმწიფო [illegible] იქცნენ, გმირი მფრინავები—არქტიკის დამპყრობლები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დეპუტატობის კანდიდატთა უზარმაზარ სიაში ჩვენი ქვეყნის ნაღებია. ბევრი რამ არის ისეთი, რითაც შეიძლება ამ ადამიანების სასარგებლოდ აგიტაციის გაწევა. ამ ადამიანებზე ლაპარაკი — ნიშნავს ვილაპარაკოთ სოციალიზმის გიგანტურ წარმატებებზე საბჭოთა სახელმწიფოში, ადამიანთა ზრდაზე, ტალანტების გაფურჩქვნაზე.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ყველა საარჩევნო უბანში იყოს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, პორტრეტი, ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც სწევენ აგიტაციას ამ კანდიდატის სასარგებლოდ.

აგიტაციის ძირითადი მეთოდი საარჩევნო კამპანიაში არის ბოლშევიკური პარტიის ნაცადი მეთოდი: დაბეჯითებითი, ღრმა, მოთმინებითი ახსნა-განმარტება. საგიტაციო მუშაობაში საჭიროა არა ადმინისტრირება, არამედ დარწმუნება. შინ მისვლისას აგიტატორმა უწინარეს ყოვლისა უნდა შეისწავლოს მცხოვრებლების შემადგენლობა, შემდეგ დაუკავშირდეს ამომრჩეველთა მასას კანდიდატის სასარგებლოდ სერიოზული, მოფიქრებული აგიტაციის გასაწევად. თუ საჭიროა, აგიტატორი ვალდებულია ჩაატაროს ინდივიდუალური საუბრებიც ცალკეულ ამომრჩევლებთან. ლენინი გვასწავლიდა, რომ „უნდა ვისწავლოთ მივიდეთ მასებთან განსაკუთრებით მოთმინებით და ფრთხილად, რათა შევძლოთ ამ მასის თვითეული ფენის, პროფესიის და სხვ. თავისებურებათა, ფსიქოლოგიის განსაკუთრებულ თვისებათა გაგება".

ბოლშევიკური აგიტატორი ფხიზლად უნდა იყოს. ყველგან, განსაკუთრებით ჩამორჩენილ რაიონებში, ქალაქების განაპირა უბნებში, სოფლად, აგიტატორი ვალდებულია ახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ არის განადგურებული კლასების ნამსხვრევები, რომ ხუცები, ეკლესიის მსახურნი, სექტანტები აქა-იქ ცდილობენ აწარმოონ მტრული აგიტაცია. მტრული აგიტაციის სულ მცირე ცდებსაც კი გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ.

ყველა საშუალება, დარწმუნების ბოლშევიკური მეთოდების მთელი ნაცადი არსენალი—საარჩევნო უბანში, სახლებში, საერთო საცხოვრებლებში, რათა ბოლშევიკური გავლენით მოვიცვათ ამომრჩეველთა უკლებლივ მთელი მასა! საარჩევნო კამპანიას — საუკეთესო საგიტაციო ძალები! ენერგიული, ზუსტი ორგანიზაციული და საგიტაციო მუშაობით მოვამზადოთ ამომრჩეველთა მილიონიანი მასები ერთსულოვანი ხმის მიცემისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა — სამშობლოს ერთგულ შვილთა სასარგებლოდ, რომელთაც გვიჩვენეს თავისი უნარი იბრძოლონ ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ხალხის საქმისათვის.

„პრავდის" მოწინავე, 22/XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააგიტაციო მუშაობის ცენტრს წარმოადგენს საარჩევნო უბანი

## დეპუტატობის კანდიდატები ამომრჩევლებთან

კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზი ხალხით გაიჭედა. აქ თავი მოიყარეს ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის მე-5 საარჩევნო უბნის ამომრჩევლებმა. საერთო სახალხო სიხარული, საერთო მხიარულება!

— ამხანაგებო! კრებას გახსნილად ვაცხადებ, — მოისმა ტრიბუნიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გიორგი ანთელიძის სიტყვები. კრებაზე ერთმანეთს შეხვდნენ სტალინური კონსტიტუციის მზით გამთბარი ამომრჩევლები და უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელთა საზოგადოებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წამოყენებულნი — სოციალისტური სამშობლოს ნამდვილი პატრიოტები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი, ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ანთელიძემ ამომრჩევლებს დაწვრილებით გააცნო ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში წამოყენებული უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების ეთერ მაზანაშვილისა და მიხეილ გვიშიანის ბიოგრაფია და ხალხის სასარგებლოდ მათ მიერ გაწეული მუშაობა.

— ჩვენ ვიცავთ ჩვენს კანდიდატურას, ყველანი უკლებლივ ხმას მივცემთ სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ შვილებს ამხანაგ მ. გვიშიანსა და ე. მაზანაშვილს, რომლებმაც დაამტკიცეს ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი. ამხანაგ ანთელიძის ბოლო სიტყვები მქუხარე ტაშის გრიალმა დაჰფარა.

ტრიბუნაზე ავიდა ბესიკის ქუჩაზე № 5 სახლში მცხოვრები ალლაძე, ალლაძე შესცვალა გრიბოედოვის ქ. № 6 სახლში მცხოვრებმა იოსებ ყაჯრიშვილმა, ეს უკანასკნელი—სერგო მიქაელიანმა (გრიბოედოვის ქ. № 14). მათს სიტყვებში მთელი ამომრჩევლების აზრი, სულისკვეთება და მისწრაფება გამოიხატა.—ხმას მივცემთ ამხ. გვიშიანს, ამხ. მაზანაშვილს, ისინი მშრომელი ხალხის შვილები, ჩვენი ბედიღბლით დაინტერესებულნი არიან,—ერთხმად აცხადებენ სიტყვით გამოსული ამხანაგები.

— სიტყვა ეძლევა ამხ. მაზანაშვილს! — დარბაზში იგრიალა ტაშმა. ამხანაგმა მაზანაშვილმა ამომრჩევლებს გადაუხადა ღრმესი მადლობა იმისათვის, რომ სცნეს უდიდესი ნდობის ღირსად, წამოაყენეს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

— მთელი ჩემი ენერგიით ვიბრძოლებ იმისათვის, — განაცხადა ამხ. მაზანაშვილმა, — რომ სავსებით გავამართლო თქვენი ნდობა, მე თქვენი შვილი ვარ, ხალხის შვილი, და ხალხის კეთილდღეობის საქმეს შევწირავ ჩემს სიცოცხლეს.

— გაუმარჯოს დიდ სტალინს, რომელმაც საამური და ბედნიერი ცხოვრება შეგვიქმნა, გაუმარჯოს სახელოვან შინსახკომს ამხანაგ ეჟოვს, გაუმარჯოს ჩვენს საყვარელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას! —მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დიდხანს არ ცხრება მხურვალე ტაში.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული ამხ. მიხეილ გვიშიანი. ამხანაგი გვიშიანის დამაჯერებელმა სიტყვებმა ამომრჩევლებში კმაყოფილებისა და აღტაცების გრძნობა გამოიწვია.

o

ამომრჩეველთა მრავალრიცხოვანი მიტინგი მოეწყო ვოროშილოვის სახელობის კლუბში. ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის № 39/2 საუბნო საარჩევნო კომისიამ წინასწარი მასობრივი მუშაობის გაშლით შესძლო მიტინგზე უბნის ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობის დასწრების უზრუნველყოფა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. ვახანიამ მიტინგზე დამსწრეთ დაწვრილებით გააცნო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების ამხ. ეთერ მაზანაშვილისა და მიხეილ გვიშიანის ნაყოფიერი და თავდადებული მუშაობა ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის, სოციალიზმისათვის, საამური და ბედნიერი ცხოვრებისათვის. მიტინგი მქუხარე ოვაციით შეეგება დიდი სტალინის სახელის ხსენებას, რომელმაც განვითარებისა და ბედნიერი ცხოვრების ფართო გზა გაუხსნა მშრომელებს, რომელთა წრიდან ათასობითა და ათიათასობით გამოდიან სოციალიზმის საქმისათვის ისეთი ენერგიული და თავდადებული მუშაკები, როგორიც არიან ამხანაგები: ეთერ მაზანაშვილი და მიხეილ გვიშიანი.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ამომრჩევლებმა (ჭკუასელი, გოლდმანი და სხვ.) მოუწოდეს დამსწრეთ, რათა 12 დეკემბერს ყველამ, როგორც ერთმა, ხმა მისცენ მათს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული კანდიდატების ამხ. მიხეილ გვიშიანისა და ეთერ მაზანაშვილის სასარგებლოდ.

მიტინგი გულთბილად შეხვდა ეროვნებათა საბჭოში თავისი კანდიდატის ამხ. მიხეილ გვიშიანის გამოჩენას ტრიბუნაზე. ამხ. გვიშიანმა თავის გულწრფელობით აღსავსე სიტყვაში ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ ის ბოლომდის ერთგული და თავდადებული დარჩება ლენინ-სტალინის პარტიისა, მშრომელთა საქმისა და გაამართლებს ხალხისა და თავისი ამომრჩევლების ნდობას.

**შ. ჯიქია**



სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ორდენოსანი ა. ა. ხორავა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევა.

სურათზე: ამხ. ა. ა. ხორავა (მარჯვნივ) სცენის ტექნიკურ მუშაკებს უხსნის ახალ საარჩევნო კანონს.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

## უბანი ისმენს აგიტატორის მგზნებარე სიტყვებს

გაცხოველებით ემზადება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის № ლეგიონის საარჩევნო უბანი № 155. რაც უფრო ვუახლოვდებით არჩევნების დღეს, მით უფრო შიმზიდველი ხდება ამ ლეგიონის შენობები და ნათელი საცხოვრებელი ოთახები, კლუბი და ლენკუთხეები, პარტკაბინეტი და სამკითხველოები. განსაკუთრებული გემოვნებით მორთულია სკოლის შენობა, რომლის მეორე სართულშიც მოთავსებულია № საარჩევნო ოლქის მე-155 საარჩევნო უბანი.

არჩევნების წარმატებით ჩატარება ძევრად არის დამოკიდებული თვით საარჩევნო კომისიის, მისი თვითეული წევრის მუშაობაზე და არჩევნებისათვის მზადყოფნაზე. ამ მიზნით კომისიის თავმჯდომარე, ლეგიონის კომისარი ამხ. მუსერიძე კომისიის წევრებთან ატარებს საუბარს როგორც საერთოდ არჩევნების, ისე საუბნო კომისიის მუშაობის საკითხებზე.

კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, ლეგიონის თვითეული სამხედრო მსახურის, მეთაურთა ოჯახის წევრებისა და ზემსახურთა ჩაბმას საარჩევნო კანონის შემსწავლელ წრეებში. კომისიის წევრებმა შეამოწმეს დანაყოფების მზადყოფნა არჩევნებისათვის და დამატებით ჩამოაყალიბეს დებულების შემსწავლელი წრეები. ბავშვიან ქალებთან, რომლებსაც არ შეუძლიათ წრეში სიარული, ბინაზე სამეცადინოდ კომისიამ პარტაქტივიდან გამოჰყო სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის მცოდნე საუკეთესო პროპაგანდისტები. ზემსახურთა წრე, რომელსაც პარტიის წევრი ამხ. რატკინი ხელმძღვანელობს, ერთერთი მოწინავე წრეა ლეგიონში.

ისტორიული ზეიმისთვის მზადების პერიოდში გამოყენებულია საგიტაციო მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი. საუბნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიქაბერიძე და სკოლის პოლიტხელი ამხ. კუცია დღე-გამოშვებით, მასობრივი მუშაობის საათებში, რადიოთი კითხულობენ მოხსენებებსა და ლექციებს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული არჩევნების მნიშვნელოვან საკითხებზე.

არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე საკონსულტაციო ოთახში ყოველდღე გაცხოველებული მუშაობაა. ზოგი მოითხოვს — განუმარტონ ხმის მიცემის წესი, როგორ ხდება არჩევნები ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ზოგს განცხადება შემოაქვს ამომრჩეველთა სიაში შემჩნეულ დამახინჯებათა შესახებ და ა. შ. გამოირკვა, რომ ლეგიონის მეთაურთა ზოგიერთმა ოჯახის წევრებმა, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ საცხოვრებელი ბინების მიხედვით, დღემდე არ იციან, თუ რომელ საარჩევნო უბანზე არიან მიწერილნი, არიან თუ არა შეტანილი ამომრჩეველთა სიაში. ამ საკითხის მოგვარება დაეკისრათ კომისიის წევრებს ამხ. მარგალიტაძესა და ელბაქიძეს.

ბოლშევიკური საგიტაციო -პროპაგანდისტული მუშაობის გაშლასთან ერთად № ლეგიონის საუბნო საარჩევნო კომისია კარგად მუშაობს საორგანიზაციო საკითხებზეც. სიები დროზე გამოიკრა, მოწყობილია საუბნო კომისიის შენობა, რომელიც 4 ოთახისაგან შესდგება. კენჭისსაყრელი ოთახი უკვე დატიხრულია 10 ნაწილად. იგი მოფენილია ნოხებით, რაც ხელს შეუწყობს სრულ მყუდროებას. იქვე გვერდით მოთავსებულია მეოთხე და უკანასკნელი ოთახი—საუბნო კომისიისათვის. ოთახი სადად და ლამაზად არის მორთული.

№ ლეგიონის მებრძოლებმა და მეთაურებმა ადგილობრივი რადიოკვანძის საშუალებით სასიხარულო ამბავი შეიტყვეს. სამტრედიის საარჩევნო ოლქის № 108 ამომრჩევლებმა ეროვნებათა საბჭოში ასარჩევად წამოაყენეს მათი ლეგიონის მეთაური ამხ. ისიდორე სილაგაძე.

ამ ცნობამ მებრძოლებში ახალი ენტუზიაზმი და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია.

მებრძოლთა საერთო განწყობილება საუცხოოდ გამოხატა სკოლის კურსანტმა ამხ. ჩიქოვანმა. უდიდესი ბედნიერებაა — განუცხადა მან თავის ამხანაგებს,—რომ გვყავდეს ისეთი მეთაური, რომელიც ხალხის ნდობითა და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს. ეს არა მარტო ლეგიონის მეთაურის ამხ. სილაგაძის სიხარულს იწვევს, არამედ ლეგიონის მთელი შემადგენლობის აღტაცებასაც. სამტრედიის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ნდობას ჩვენ ვუპასუხებთ ახალ-ახალი წარმატებებით საბრძოლო - პოლიტიკურ მომზადებაში, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს არჩევნების წარმატებით ჩატარებით.

ყოველდღე ლეგიონიდან ათეული წერილები მიდის სამტრედიის, ვანის და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებში (რომლებიც შედიან სამტრედიის საარჩევნო ოლქში). № ლეგიონის მებრძოლნი მოუთხრობენ თავიანთ მშობლებს ლეგიონში მათი ღირსეული კანდიდატის მუშაობის შესახებ და მოუწოდებენ მათ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ მოსახლეობაში — სახელოვანი წითელი არმიის ღირსეული მეთაურის ამხ. სილაგაძის სასარგებლოდ ხმის მისაცემად.

**მ. დავითაშვილი**

## ჩვენ 18 წლისა ვართ

### პირველად ვღებულობთ მონაწილეობას არჩევნებში

ქ. თბილისის ავტო-სარემონტო ქარხანაში მოწვეულ იქნა ახალგაზრდობის წინასაარჩევნო კრება, სადაც მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ცხადაძე. ამხანაგ ცხადაძის შინაარსიანი მოხსენების შემდეგ პირველად სიტყვით გამოვიდა ქარხნის ახალგაზრდა კომკავშირელი სტახანოველი ხავთასი (ხარატი), რომელიც ყოველდღიურ გეგმას ასრულებს 281 პროცენტით. „ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის 12 დეკემბერი. ამ დღეს მე პირველად უნდა მივცე ჩემი ხმა ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს — ამბობს ამხ. ხავთასი, — მე ვღებულობ ვალდებულებას 12 დეკემბრამდე შევასრულო წლიური გეგმა".

ასეთივე ვალდებულებანი აიღო საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის ლ. არუთინოვმა (ხარატმა). კრებაზე გამოსული ახალგაზრდები ამბობდნენ: ჩვენ 18 წლისა ვართ და პირველად გვიხდება მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ ხმას მივცემთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებს.

ქარხანაში 275 ახალგაზრდაა. მათ შორის ფართოდ არის გაშლილი არჩევნებისათვის მზადება. ახალგაზრდობა სწავლობს სტალინურ კონსტიტუციას და დებულებას უზენაეს საბჭოს არჩევნების შესახებ.

მთელი ქარხნის ახალგაზრდობა, რომლებმაც პირველად უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, დიდი აღფრთოვანებით ეგებება არჩევნების დღეს — 12 დეკემბერს.

## ამომრჩეველთა კრებაზე

22 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კლუბში შესდგა კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის მე-44 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კრება.

სცენაზე ყვავილების თაიგულებით შემკობილ ჩარჩოებში მოსჩანს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ორდენოსან სტახანოველის ამხ. დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძის დიდი პორტრეტები.

როდესაც უბნის ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ქ. გიორგაძემ ამომრჩევლებს განუცხადა. ჩვენი დეპუტატი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში ამხანაგი ბერია არისო, ხალხით გაჭედილ დარბაზში გაისმა მქუხარე ტაში. ილაპარაკა რა ამხანაგი ბერიას მოღვაწეობის გარშემო, ამხ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ბერიას კანდიდატურას სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას.

შემდეგ ილაპარაკა რა ამხ. დ. ჭიჭინაძის შესახებ, ამხ. გიორგაძემ აღნიშნა:

ამხანაგი დავითი გამოსულია მუშათა წრიდან. იგი თვით არის სახელოვანი მუშა, რომელმაც დაამსხვრია მუშაობის ძველი ნორმები. იგი ენერგიულად იბრძვის პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის. ამიტომ წამოვაყენეთ მისი კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოში და ხმას მივცემთ მას.

სიტყვებით გამოსულმა ამომრჩევლებმა შ. ხუციშვილმა, კვანტალიანმა, ხიზანიშვილმა, ბირკაძემ, გოგიტიძემ, შატაიძემ, ტარიელაშვილმა, ს. ხუციშვილმა, დემეტრაშვილმა, ზაქარიანმა და სხვ. ილაპარაკეს იმ სასიხარულო დღეზე, როდესაც მოხდება უზენაესი საბჭოს არჩევნები, და გამოსთქვამდნენ კმაყოფილებას, რომ მათი კანდიდატები არიან ორდენოსანი საქართველოს სახელოვანი ადამიანები.

—ჩვენ იმედი გვაქვს და გვჯერა, —აცხადებენ ისინი,—რომ ჩვენი დეპუტატები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ სოციალიზმის ბედნიერი ქვეყნის შემდგომი აყვავებისათვის.

**ს. გერგიშვილი**

## შახტის საარჩევნო ოლქის მე-14 უბნის ამომრჩეველთა შეხვედრა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ორდენოსან ნ. ა. იზოტოვთან

**შახტი**, 21 ნოემბერი (საკდესი). შახტის საარჩევნო ოლქის მე-14 უბნის 450 ამომრჩეველი გუშინ შეხვდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ორდენოსან ნიკიტა ალექსის-ძე იზოტოვს.

მქუხარე ტაშით მიესალმნენ ისინი თავის კანდიდატს.

უბნის ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. კალინინმა სიტყვა მისცა ნიკიტა ალექსის-ძე იზოტოვს, რომელმაც ილაპარაკა თავის ცხოვრებასა და შრომაზე, მნგრეველის გზაზე დიდი სახელმწიფო მოღვაწეობისაკენ.

### ამხ. ნ. ა. იზოტოვის სიტყვა

ორ წელიწადს ვსწავლობდი სამრეწველო აკადემიაში. სექტემბერში, ორი თვის წინათ დამიბარა ჩვენმა სახკომმა ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩმა და მითხრა: წახვალ „შახტანტრაციტში", საჭიროა ქვანახშირის ამოღების გადიდებაო. მე მოხარული ვიყავი შემესრულებინა სახკომის ბრძანება, მუშათა კლასის ბრძანება (**ტაში**). შახტში ჩამოვედი 28 სექტემბერს. მე აქ დავინახე, რომ მუშები წინ მიისწრაფიან, სურთ იმუშაონ სტახანოვურად, რომ საჭიროა მხოლოდ მათი ორგანიზება. დავიწყე ადამიანთა, პირველ რიგში მეთაურთა შემადგენლობის ორგანიზებით, შერჩევითა და შემოწმებით.

ხალხის მტრებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს შახტს. ტროცკისტ-ბუხარინელი მავნებლები, ჯაშუშები და დივერსანტები ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ განადგურებული. მე მოგმართავთ თქვენ, მუშებს, მოსამსახურეებს, დიასახლისებს, ყველა ამომრჩეველს და მოგიწოდებთ იყოთ კიდევ უფრო ყურმახვილი, ფხიზლად ადევნოთ თვალყური მტრების ოინებს, გახსოვდეთ, რომ მტერს არ სძინავს. მაგრამ მტრის ნაბოლარები ანგარიშში მოსტყუვდებიან, როგორც არა ერთხელ მოტყუებულან ჩვენი მტრები წინათ. სულერთია, ყველას დავიჭერთ და სავსებით აღმოვფხვრით! (**ტაში**).

გუშინ ჩვენმა ტრესტმა წელს პირველად მოგვცა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო გეგმის 100 პროცენტი. დღეს, თუ პირველი ცვლის მიხედვით ვიმსჯელებთ, კიდევ უფრო უკეთ მივდივართ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვამშვიდებს. ჩვენი ამოცანაა მივცეთ ქვეყანას 1938 წლის 1 იანვრისათვის 15 ათასი ტონა ქვანახშირი ყოველდღე. და მივცემთ კიდეც (**ტაში**). უნდა გვახსოვდეს, რომ ქვანახშირის მიცემა— დიდი საქმეა, იგი მოითხოვს შემოწმებას, შრომის ნამდვილ ბოლშევიკურ ორგანიზაციას, გამბედაობასა და პატიოსნებას პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებაში. ვიბრძვით რა ქვანახშირის ამოღების განუხრელად გადიდებისათვის, ჩვენ კიდევ უფრო ბედნიერ, კულტურულსა და სასიხარულოს გავხდით მუშათა ცხოვრებას.

ამომრჩევლებმა თავის დეპუტატებს—სახელმწიფო კაცებს უნდა მისცენ განაწესი, რომ თვითეული ქუჩა და თვითეული სახლი იყოს გალამაზებული, კეთილმოწყობილი. ჩვენ მივაღწევთ ამას. მივცემთ ქვეყანას ქვანახშირს და კიდევ უფრო კულტურულად და მხიარულად ვიცხოვრებთ (**ტაში**).

დიდ მადლობას ვუცხადებ ამომრჩევლებს ჩემ მიმართ გამოჩენილი ნდობისათვის. სიტყვას ვიძლევი ღირსეულად შევასრულო ყოველივე ის, რაც პარტიამ და ხალხმა დამავალეს (**ხანგრძლივი ტაში**).

## დადგენილება და სინამდვილე

(კასპი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარების ბედი საარჩევნო უბნებში წყდება. უბნები ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეხვდნენ არჩევნებს. ამ მხრივ კასპის რაიონში, რომელიც თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქში შედის, არ არის მაინცადამაინც კარგი მდგომარეობა. მთელ რიგ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა სიები არ არის სწორად შედგენილი. სასოფლო საბჭოებისა და რაიაღმასკომის მუშაკები ამ საქმეს გულგრილად მოეკიდნენ. კიდევ მეტი. კასპის რაიაღმასკომის პრეზიდიუმს საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის შესახებ 15 ნოემბერს გამოტანილი აქვს არასწორი და შემცდარი დადგენილება.

ნუთუ რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პაპიაშვილმა არ იცის, რომ ამომრჩეველთა სიების სწორად შედგენა ევალებათ რაიონულ, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს და არა საუბნო საარჩევნო კომისიას. პრეზიდიუმმა თავის 15 ნოემბრის დადგენილებით სიების ცუდად შედგენისათვის დასაჯა საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და არა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები.

კასპის რაიონის მთელ რიგ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა სიები არასწორად გამოაქვეყნეს. ამომრჩეველთა აღრიცხვა არაზუსტად და უხარისხოდ ჩატარდა. კასპის № 1 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაბადების წელი სრულებით არ იყო აღნიშნული სიაში, ხოლო № 2 საარჩევნო უბანში დიდძალი ამომრჩევლები გამოსტოვეს. კასპის სასოფლო საბჭოში ორი საარჩევნო უბანია, რომლების მუშაობასაც საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. კიკნაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მან პირველ საარჩევნო უბნიდან 16 ნოემბერს მიიღო ამომრჩეველთა სიიდან გამორჩენილთა 8 განცხადება, ხოლო 17 ნოემბერს 16 განცხადება, მაგრამ 20 ნოემბრისათვის არცერთზე არ ჰქონდა პასუხი გაცემული. კიდევ მეტი. ქვემო გომის № 63 საარჩევნო უბნიდან 13 და 17 ნოემბერს შემოტანილი განცხადებები სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს 20 ნოემბერსაც არ ჰქონდა განხილული. ეს გამონაკლისი როდია. კასპის რაიონის მთელი რიგი სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები აგვიანებენ სიიდან გამოტოვებულ ამომრჩეველთა განცხადებების განხილვას, მაგრამ ამის შესახებ რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებაში არაფერი სწერია.

ნიგოზის უბნის ამომრჩეველთა სიაში, რომელიც 12 ნოემბერს გააკრეს, ნაცვლად 600 ამომრჩევლისა, მხოლოდ 300 იყო ჩაწერილი. ამის გამო რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მისცა მითითება, რაც არ არის სწორი.

როგორ სწავლობენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა? ყველა საარჩევნო უბანში ჩამოყალიბებულია დებულების შემსწავლელი წრეები, მაგრამ მათი უმრავლესობა ცუდად მუშაობს. მაგალითისათვის ავიღოთ კასპის № 1 საარჩევნო უბანი, რომელიც პარტიის რაიკომიდან და რაიაღმასკომიდან რამდენიმე ნაბიჯით არის დაშორებული. ცემენტის ქარხანაში არჩევნების დებულების შემსწავლელ წრეში 20 ამომრჩეველია გაერთიანებული. ამ წრეში პროპაგანდისტმა ს. პეტრუზოვმა 23 მეცადინეობა ჩაატარა, მაგრამ მსმენელებმა დებულება მაინც ცუდად იციან. შ. ტაბატაძემ 22 მეცადინეობა ჩაატარა, მაგრამ ვერცერთმა მსმენელმა ვერ დაამთავრა წრე. ასეთი მაგალითები მრავალია. კასპის ცემენტის ქარხნის პროპაგანდისტები (შ. ტაბატაძე, ს. პეტრუზოვი, მ. ბაინდურაშვილი და სხვ.) უხარისხოდ ატარებენ მეცადინეობას.

ზოგიერთ საარჩევნო უბანში წრის დაკომპლექტება არ ჩაუტარებიათ ამომრჩეველთა ცოდნის მიხედვით. წითელ ქალაქის № 45 საარჩევნო უბანში პროპაგანდისტი ხ. ანთიძე წრეში 30 კაცს ამეცადინებს. ამ წრეში თქვენ ნახავთ როგორც უმაღლესი, საშუალო და დაბალი განათლების მქონე პირებს, ისე წერა-კითხვის უცოდინარებსაც. აქედან ცხადია, თუ რა ხარისხი ექნება მეცადინეობას!

კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენი დიადი ქვეყნის ბედნიერი მშრომელები მივლენ საარჩევნო ყუთებთან უზენაეს საბჭოში ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანების ასარჩევად. არჩევნებამდე დარჩენილი დღეები უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უკლებლივ ყველა ამომრჩეველს გავაცნოთ წამოყენებული კანდიდატურები. ამისათვის საჭიროა ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური აგიტაცია დასახელებულ კანდიდატთა სასარგებლოდ, ამომრჩევლებს ფართოდ გავაცნოთ მათი ცხოვრება და მუშაობა. ამ მხრივ კასპის რაიონის ზოგიერთ საარჩევნო უბნებში ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, აგიტატორები და ნდობით აღჭურვილი პირები სუსტად მუშაობენ, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვერ ეხმარებიან მათ, როგორც საჭიროა.

ქვემო გომის № 63 საარჩევნო უბანში პარტიის რაიონულმა კომიტეტმა აგიტატორად გამოჰყო კონსტანტინე მელქაძე, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მელქაძე ძალზე „გადატვირთული" ყოფილა და მას დღემდე არავითარი მუშაობა არ უწარმოებია.

ამხ. მელქაძე გამონაკლისს კი არ წარმოადგენს. ასე ითქმის № 63 საარჩევნო უბნის სხვა აგიტატორებზედაც. აქ ნდობით აღჭურვილ პირს ამხ. ალ. ინალიშვილს ჯერ არ მოუწვევია აგიტატორთა თათბირი და არ მიუმაგრებია ისინი კოლმეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებზე საგიტაციო მუშაობის ჩასატარებლად.

ასეთივე მდგომარეობაა წითელ ქალაქის № 45 საარჩევნო უბანში, რომლის აგიტატორმა ამხ. გ. მეგრელიშვილმა განაცხადა:

— 21 დღე იქნება მას შემდეგ, რაც აგიტატორად ვარ გამოყოფილი. უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საუბარი და გაზეთის ხმამაღლა კითხვა სოფელ გარიყულის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში ჩავატარე — მაგრამ როცა შევეკითხეთ, თუ რა თემაზე და როდის ესაუბრა კოლმეურნეებს, ამაზე მეგრელიშვილმა ვერაფერი გვიპასუხა, შემდეგ კი გამოგვიტყდა, რომ ის მხოლოდ ახლა აპირებს საგიტაციო მუშაობის დაწყებას.

რაც შეეხება კასპის № 1 საარჩევნო უბანს, აქ კარგად არის გაშლილი საგიტაციო მუშაობა. ცემენტის ქარხნის და რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებში აგიტატორებმა ჩაატარეს საუბრები არჩევნების შესახებ. პლაკატები და ლოზუნგები გაკრულია თვალსაჩინო ადგილზე, მიმდინარეობს უზენაესი საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიების ხმამაღლა კითხვა და შესწავლა.

კასპის რაიონში 35 საარჩევნო უბანია, რომელთა აგიტატორებმა და ნდობით აღჭურვილმა პირებმა უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა. ნდობით აღჭურვილმა პირებმა აგიტატორებს მეტი დახმარება უნდა გაუწიონ. ზოგიერთ საარჩევნო უბანში მივიწყებული საგიტაციო მუშაობა პარტიულმა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა გააჩაღონ.

**კლ. გოგიავა**

## სუსტად მუშაობენ

**სამტრედია**, 22 ნოემბერი (**ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდ**). მე-4 საარჩევნო უბანში (სამტრედიის რაიონი) ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. დავით ქართველიშვილი და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. კარპეზ რევიშვილი არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ეწევიან. მართალია, ამ უბანზე 13 პროპაგანდისტი და 9 აგიტატორია მიმაგრებული, მაგრამ ისინი სუსტად მუშაობენ.

არჩევნების დებულების მე-8 მუხლის მიხედვით, ის ამომრჩევლები, რომლებსაც აქვთ საარჩევნო უფლება, შეტანილი უნდა იქნან იმ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში, სადაც ისინი ცხოვრობენ. აქ კი დებულების ეს მუხლი უხეშად არის დამახინჯებული. 150-ზე მეტი რკინიგზელი, რომლებიც კვანძში მუშაობენ და მუდმივად ცხოვრობენ № 4 საარჩევნო უბანში, სრულიად არ არიან შეტანილი საარჩევნო სიაში. სიაში გამოტოვებული იყო აგრეთვე თვით საარჩევნო კომისიის წევრი ნიკოლოზ გაბედავა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კარპეზ რევიშვილის ცოლი და სხვები.

საარჩევნო უბნის აგიტატორები, ნაცვლად იმისა, რომ გაშალონ ბოლშევიკური აგიტაცია კანდიდატების სასარგებლოდ, ახლა მთელ სამუშაო დროს ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომების გასწორებას ანდომებენ.

ამ უბანში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული დებულების შესწავლის საქმე. დებულების შემსწავლელ წრეებში 970 ამომრჩევლიდან მხოლოდ 300-მდე ამომრჩეველია ჩაბმული. ნდობით აღჭურვილმა პირმა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არც კი იციან, თუ როგორ მიმდინარეობს მეცადინეობა ამ წრეებში.

ბინა, რომელშიაც № 4 საუბნო საარჩევნო კომისიაა მოთავსებული, სრულიად მოუწყობელია, არ არის გაკრული ლოზუნგები და პლაკატები, ამომრჩეველთა შორის არ ატარებენ საუბრებს, არ გამოსულა კედლის გაზეთი. შემოღებული არ არის კომისიის წევრთა მორიგეობა.

ასეთია სამტრედიის საარჩევნო უბანი № 4, რომლის მუშაობასაც აქ სანიმუშოდ სთვლიან.

**ტ. აცანელი**

# ჩვენ გვწერენ

## საქმეს დასასრული არ უჩანს

აი 21 მობინადრის ხელმოწერილი განცხადება, აი დასტა ოქმებისა და დადგენილებებისა, საბინაო ამხანაგობის საამხანაგო სასამართლოს განაჩენებისა, ლონისძიებებისა. ყველგან ამავე სახლის მობინადრე სერგო ჩაფიძეა ნახსენები. მისი თავხედობა, ხულიგნური მოქმედება, ლანძღვა-გინება, მის გვერდით მცხოვრებ არუთინოვის ოჯახის სისტემატურად შეურაცხყოფა, — აი რას ღაღადებენ ეს ქაღალდები.

ყოველნაირად შეეცადა საბინაო ამხანაგობის გამგეობა ჩაფიძის გამოსწორებას, მაგრამ ამაოდ. ჩაფიძე საბინაო-საიჯარო კოოპ. ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს — სტახანოველ ამხ. უგრეხელიძეს ეზოში დახვდა და თავი გაუტეხა. იგი ხშირად დასცინის ძველი რკინიგზელის არუთინოვის ოჯახს.

გასულ წელს, ერთი მორიგი თავდასხმის დროს გამხეცებული ჩაფიძე მიუვარდა არუთინოვის ცოლს და მესამე სართულიდან გადაგდებას უპირებდა, რომ ქალს მეზობლები არ მიშველებოდნენ.

თლაჯგაწყვეტილმა არუთინოვებმა განცხადებით სტალინის რაისახალხო სასამართლოს მიმართეს — ითხოვდნენ საერთო აივანზე ტიხრის გაკეთების ნებართვას, სასამართლომ ტექნიკური ექსპერტები გამოჰყო. უკანასკნელთა დასკვნით აივანზე ტიხრის გაკეთება შესაძლებელია.

დატრიალდა ჩაფიძე. დაატრიალა თავისი ძმა-ბიჭებიც და იმდენი მოახერხა, რომ, მიუხედავად საქმეში არსებული მასალებისა, სასამართლომ არუთინოვებს ტიხრის გაკეთების ნება არ მისცა.

უზენაესმა სასამართლომაც ხალხის მტრის ბახტაძის მოხსენებით ამ განაჩენს კვერი დაუკრა.

დიდი ხვეწნა-მუდარისა და რვა თვის ხეტიალის შემდეგ, როგორც იქნა, შეიწყნარეს არუთინოვის თხოვნა და საქმე ზედამხედველობითი წესით განსახილველად უზენაეს სასამართლოს პლენუმზე დაისვა. პლენუმმა განაჩენი არასწორად სცნო, დაარღვია იგი და ხელმეორედ გასარჩევად სტალინის რაისასამართლოს დაუბრუნა. საქმე გაირჩა, — საკითხი არუთინოვის სასარგებლოდ გადასწყდა...

მაგრამ არ ცხრება ჩაფიძე. „მე სერგოს მეძახიან", — იკვეხნის ის და საქმეს მაინც თავისი სურვილისამებრ აჭახრაკებს.

არუთინოვს კი ჰგონია, „თავი ქუდში" მაქვსო, რადგან სწამს საქმეში დაგროვილი მასალების ყოვლისშემძლე ძალა.

მაგრამ დახეთ... ჩაფიძე ახერხებს სასამართლოდან საბუთების მოპარვას.

განაჩენი დაირღვა და საქმე ხელმეორედ განსახილველად რაისახალხო სასამართლოს დაუბრუნდა. საქმე ადგილიდან არ იძვრის.

ჩაფიძის ხულიგნობა მეხუთე სამილიციო რაიონისათვისაც ცნობილია. მას რამდენიმე რეგისტრაცია აქვს. სტალინის რაისახალხო სასამართლო კარგად იცნობს ამ მკლავაძეს. რაიპროკურორმაც იცის მისი „ოინები", მაგრამ ყურს არ იბერტყავს.

**თ. ეკალაძე**

## სახელმწიფო ქონების გამნიავებლები

**(წერილი ბაღდათის რაიონიდან)**

ვარციხის საბჭოთა მეურნეობა საქართველოში მევენახეობის ერთერთ მსხვილ მეურნეობას წარმოადგენს. აქ 240 მუშა-მოსამსახურეა, მაგრამ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვისათვის თავს არ იწუხებენ. სამაგიეროდ, ამ მეურნეობის ყოფილი დირექტორი გრიგოლ თოფურია მავნებლურად ანიავებდა სახელმწიფო ქონებას.

თოფურიას საკუთარი ბინის რემონტისათვის თბილისში მეურნეობის თანხიდან დახარჯული აქვს 24.342 მანეთი. ის ხშირად აჯილდოვებდა თავის თავს. მაგალითად, ამგზით შარშან მიიღო 1500 მანეთი, წელს აპრილში სათბურების მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით—2.000 მანეთი. მანვე მიითვისა მეურნეობის ერთი ძროხა, ერთი დედა-ღორი 10 გოჭით, რომლებსაც მეურნეობის ხარჯზე ჰკვებავდა.

მავნებელი თოფურია უხეშად ეპყრობოდა მუშებს, ლანძღავდა და აგინებდა მათ, მუშების საჩივრებს უყურადღებოდ სტოვებდა.

იგი ხელგაშლით არიგებდა საბჭოთა მეურნეობის თანხებს. მეურნეობის ყოფილ ბუღჰალტერ ქველიაშვილს, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია, მისცა ქუთაისში ბინის რემონტისათვის „ერთდროული" დახმარება 5000 მანეთი. ქველიაშვილს მეურნეობაში მიცემული ჰქონდა საუკეთესო ბინა, მიუხედავად ამისა, ბინის ქირად მას მაინც აძლევდნენ თვეში 120 მანეთს. ქველიაშვილმა მოლარე ირაკლი გუნიასთან ერთად გაფლანგა 26.000 მანეთი. ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში უკანასკნელ დრომდე უფროს მეღვინედ მუშაობდა ვინმე კანდელაკი, რომელსაც თოფურიამ თბილისში ბინის შეკეთებისათვის მისცა „ერთდროული" დახმარება 13.020 მანეთი. მასვე მიღებული აქვს „ჯილდოდ" 1300 მანეთი. 1400 მანეთი ჯილდო მიეცა აგრეთვე ინჟინერ მოსეშვილს.

გრიგოლ თოფურია არც ბაღდათის რაიკომის ყოფილ მდივანს სტოვებდა უპატივცემოდ. ვარციხის საბჭოთა მეურნეობიდან მას „ჯილდოს" სახით მისცეს 2000 მანეთი, 20 ფუთი სიმინდი, 350 ძირი საუკეთესო ნამყენი ვაზი და „სესხად" 1.008 მან. 44 კაპ.

თითქოს იმ მიზნით, რომ მეურნეობას ბანკიდან დროზე მიეღო თანხები, თოფურიამ „დააჯილდოვა" ბანკის თანამშრომლები. ბანკის ყოფილ მმართველს ფურცელაძეს მისცა 1200 მანეთი, ეკონომისტ სამშაურაშვილს—700 მანეთი, გრიგოლ მეფარიშვილს—250 მანეთი, მასწავლებელ თინა გუმბერიძეს მისცეს „ჯილდო" 250 მან. ექსპედიტორ ჩიქოვანს ბუღჰალტერ ქველიაშვილმა ჩამოაწერა აბაზანის ღირებულება 1800 მანეთი. აბაზანა კი ჩიქოვანმა მიითვისა.

ამჟამად მეურნეობაში დებიტორული დავალიანება 75.165 მანეთს უდრის, დღემდე არავითარი ზომები არ არის მიღებული მისი ლიკვიდაციისათვის.

სახელმწიფო ქონების გამნიავებლები ამჟამად მხილებულნი არიან. ისინი საკადრის სასჯელს მიიღებენ. ახლა მთავარი ის არის, რომ ბოლომდე გავწმინდოთ მეურნეობა მათი ნაბოლარებისაგან და დავრაზმოთ მთელი ძალები მავნებლობის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისათვის.

**ნ. აბუთიძე**
**გ. ჩხეტია**

## უმსგავსოება წებელდის საფოსტო განყოფილებაში

ვიღაც გარეწარი ზის წებელდის (აფხაზეთი) საფოსტო განყოფილებაში, არცხვენს საბჭოთა კავშირგაბმულობის მუშაკთა ღირსებას, და სახელს უტეხს ამ უწყებას ხალხის თვალში. აგერ ერთი ფაქტი:

გასულ თვეში — ოქტომბერში, წებელდელმა კოლმეურნემ წითელ არმიაში გაწვეულ თავის შვილს კონსტანტინე ხურცილავას გაუგზავნა ამანათი. წებელდის საფოსტო განყოფილებაში ეს ამანათი მიიღეს, გახსნეს, ამოიღეს იქიდან, თუ რამ „გასაკნასავი" იყო, სამაგიეროდ შეავსეს ძველი საფოსტო დოკუმენტებით და ამანათი დანიშნულებისამებრ გაგზავნეს. მიიღო წითელარმიელმა კონსტ. ხურცილავამ ეს ამანათი და ორიოდე ვაშლთან ერთად აღმოჩნდა მთელი დასტა ძველი საფოსტო დოკუმენტებისა. დიდა კი სწერდა—გიგზავნი, შეილო, ხილს, ცოტაოდენ თამბაქოს და სხვასო.

კავშირგაბმულობის სამმართველომ უნდა გამონახოს მის უწყებაში შემძვრალი ეს ვირთაგვა. ცნობისათვის კავშირგაბმულობის უწყებას: დაზარალებული წითელარმიელის მისამართია: თბილისი, საფოსტო ყუთი № 7 კ. ხურცილავას; წებელდის საფოსტო განყოფილების უფროსად მუშაობს მორცხულავა, ხოლო ამანათში ჩაწყობილი ძველი საფოსტო დოკუმენტები ამჟამად „კომუნისტის" რედაქციაში ინახება.

**დ. ლომთაძე**

## უყურადღებოდ მიტოვებული სამკითხველო

ჩოხატაურიდან 3 კილომეტრის დაშორებით, სამხედრო გზის პირად, 1923 წლიდან არსებობდა პატარა სამკითხველო. სოფ. ზემო ფარცხმის მშრომელებმა შელობეს სამკითხველოს ეზო და შიგ გააშენეს დეკორატიული მცენარეები.

სამკითხველო კარგად იყო მოწყობილი და მშრომელებსაც სათანადო მომსახურებას უწევდა, მაგრამ ახლა იქ ვიღაც კერძო პირი შესახლეს და სამკითხველო გააუქმეს, გაანადგურეს ხეები სამკითხველოს ეზოში, წიგნები და გაზეთები სადღაც წაიღეს.

საჭიროა სამკითხველო აღდგენილ იქნას.

**ვალ. ჩხიკვაძე.**

## საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამოფენა

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ამჟამად ამთავრებს მოსამზადებელ მუშაობას საინტერესო გამოფენისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მდიდარი მასალები გეოგრაფიული საზოგადოების მიერ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციებისა, აგრეთვე ამ ექსპედიციების მიერ ბუნებრივი სიმდიდრეების მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგები — გეოლოგიური, ბოტანიკური და ჰიდროგლასიოლოგიური (მყინვარული და მდინარეული) რუკებით, ნახაზებით და ფოტოსურათებით.

აქვე იქნება კავკასიონის ყველა იმ მწვერვალთა მარშრუტების რუკები, სადაც საზოგადოებას მოუწყვია ასვლები, დაწყებული 1923 წლიდან დღემდე.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ძველი და ახალი კოლხიდა მხატვრული სურათებითა და დიაგრამებით. კოლხიდის კომპლექსური ექსპედიციების მასალათა მიხედვით მხატვრული სურათები შესრულებულია მხატვარ ბაგრატიონის მიერ, ხოლო კოლხიდის ბარის მცენარეთა ტიპების რუკები— პროფ. ნ. კეცხოველის მიერ.

გამოფენაზე საკმაოდ მდიდრად იქნება წარმოდგენილი მინერალური კოლექცია.

გამოფენაზევე იქნება საზოგადოების მიერ პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოშვებული საქართველოს სსრ რუკები და თვით საზოგადოების მიერ გამოცემული ლიტერატურა, აგრეთვე საქართველოს ისტორიის რუკები, შესრულებული ვახუშტის მიერ მე-18 საუკ. პირველ ნახევარში. (რუკების დედანი ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფილიალის კარტოგრაფიულ განყოფილებაში).

გამოფენა მუდმივი იქნება.



თბილისი. — რუსთაველის პროსპექტზე, ძველი სამხედრო ტაძრის ადგილას მთავრდება საქართველოს მთავრობის ახალი სასახლის მშენებლობა.
სურათზე: მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო კადეტოვისა [„სოიუზფოტოს" საქ. განყ.]

## შ. რუსთაველის იუბილეს წინ

ჩვენი ქვეყანა ემზადება ღირსეულად აღნიშნოს დიადი თარიღი — გენიალური ქართველი პოეტის, უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნის" ავტორის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი. იუბილესათვის ემზადებიან თეატრები, კლუბები, სკოლები.

კომპოზიტორმა ი. გოკიელმა დაამთავრა „ვეფხის ტყაოსნის" ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი, კომპოზიტორმა შ. მშველიძემ დასწერა ოპერა „ვეფხის ტყაოსნის" პირველი აქტი, კომპოზიტორები კოკელაძე, ცაგარეიშვილი, ვაბიჩვაძე, მაჭავარიანი და სხვ. სწერენ მუსიკალურ ნაწარმოებებს უკვდავი პოემის თემებზე.

თბილისის ყველა თეატრმა დაამუშავა მხატვრული პროგრამები, რომლებიც ნაჩვენები იქნება შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს განზრახული აქვს მოაწყოს დიდი საიუბილეო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის თეატრების საუკეთესო არტისტები.

საქფილეგთი ჰქმნის საესტრადო ბრიგადებს, რომლებიც შოთა რუსთაველის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპეციალური პროგრამით გამოვლენ საიუბილეო დღეებში ქარხნებსა, ფაბრიკებსა და მუშათა კლუბებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატმა შეადგინა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში „ვეფხის ტყაოსნის" შემოქმედის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების მომზადებისა და ჩატარების გეგმა. ყველა სკოლასთან ეწყობა საიუბილეო კომისიები, იქმნება კუთხეები, მიძღვნილი შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. უნივერსიტეტში ჩატარდება გენიალური პოეტისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები.

საქართველოს მუზეუმში მიმდინარეობს მზადება შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენისათვის. გენიალური შოთას ეპოქის ამსახველ ექსპონატებს შორის გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება „ვეფხის-ტყაოსნის" სხვადასხვა გამოცემა.

## ახალი ექსპონატები

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან არსებული დიდი არქეოლოგიური გამოფენა პროლეტარული რევოლუციის 20 წლისთავთან დაკავშირებით ახალი ფრიად საინტერესო ექსპონატებით გამდიდრდა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ხალდური, ხეთური და ეგვიპტური მატერიალური კულტურის ძეგლები.

ხალდური ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვანის ტბის (ოსმალეთი) მიდამოებიდან ჩამოტანილი ლურსმნული წარწერები (ქვაზე ამოკვეთილი სოლისებური ნიშნებით) და რუხი ფერის მაგარი ქვის ქანდაკება, რომელიც მეცნიერთა აზრით წარმოადგენს ხალდების ერთერთი ღმერთის გამოსახულებას.

ხეთური ძეგლებიდან დიდ ყურადღებას იპყრობს კილიკიის ტავრიდან (ოსმალეთი) ჩამოტანილი ბარელიეფი.

ბარელიეფზე გამოკვეთილია სამსხვერპლოს წინ ლოცვად დამდგარი ადამიანის ფიგურა, რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს თავთავი და ყურძნის მტევანი, ხოლო მარჯვენა ხელში ბოლოკვეთილი მახვილი.

ეს ბარელიეფი, როგორც მეცნიერები ასკვნიან, უნდა წარმოადგენდეს ხეთების მეფეს.

ეგვიპტური ძეგლებიდან წარმოდგენილია კარგად შენახული მუმია (ადამიანის ბალზამირებული გვამი).

აქვე ყურადღებას იპყრობს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნის სარკოფაგი. სარკოფაგს კარგად ემჩნევა წარწერა ეგვიპტური იეროგლიფებით, საიდანაც სჩანს, რომ ის ეკუთვნის ტახარუ-შეგს-ენ-მუტს (ხვთაება მუტის მსახურს).

სარკოფაგს აქვს აგრეთვე წარწერები, რომლებიც შეიცავენ მიცვალებულთა სულის მოსახსენებელ ლოცვებს.

### ხელოვნება

## მახარაძის თეატრი

ქ. მახარაძის სახელმწიფო თეატრმა უკანასკნელ დროს ძლიერი ტემპი აიღო სათეატრო კულტურის განვითარება-განმტკიცების დარგში. მიმდინარე წლის დაწყებიდან თეატრის ხელმძღვანელად მოწვეულია რეჟისორი გ. როსება.

თეატრის ძალების უმრავლესობა შესდგება ადგილობრივი ახალგაზრდებისაგან (მოწვეულია მხოლოდ ორი პროფესიონალი მსახიობი). ამ კოლექტივით თეატრმა შესძლო მაყურებელთათვის ეჩვენებინა გ. მდივნის „ბრმა" და „სამშობლო", ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", გ. გორდაძის „შხამიანი გველები" და გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია".

ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში თეატრმა დადგა გ. მდივნის „სამშობლო". პიესა ძლიერად ჩატარდა და კარგი შეფასება მიიღო დამსწრე საზოგადოებისაგან. მთავარ როლებს ასრულებდნენ ადგილობრივი ძალები: შ. ჩაველიშვილი, ევტ. თალაკვაძე, გ. ღლონტი, ნ. ბაჯელიძე, ვ. ჭანტურიშვილი, მსახიობი ვ. ნიკოლაიშვილი და სხვ.

## ტრამვაის მოძრაობის ახალი წესები

ტრამვაის დირექციამ და თბილისის საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ შეიმუშავეს ტრამვაის მოძრაობის ახალი წესები. 1 დეკემბრიდან ყველა საკვანძო ხაზზე გამოკრული იქნება მარშრუტთა საჩვენებელი, ტრამვაის ვაგონებზე გააკრავენ სამარშრუტო ტაბელებს, მოაწყობენ სასიგნალო მაჩვენებლებს გასაჩერებლებთან და სხვ.

1938 წლის 1 იანვრიდან ტრამვაის წინა ბაქანზე ასვლა აკრძალულია ყველასთვის ორსულთა, ძუძუმწოვარ ბავშვიანთა და მთავრობის წევრთა გარდა. დილის საათებში (დილის 7 ს. 8 ს. 30 წუთამდე) წინა ბაქნიდან ვაგონში ასვლის უფლება ეძლევათ მოწაფეებს 12 წლის ასაკამდე. წინა ბაქანზე (ვატმანთან) დგომა კი აკრძალულია ყველასათვის.

მომავალი წლიდან ტრამვაის დარგის მუშაკებს ექნებათ განსაკუთრებული ფორმა. გასაჩერებლებთან ტრამვაიზე ასვლა რიგის მიხედვით იწარმოებს.

მნელაძის, სამხედრო და კალინინის ქუჩებზე აკრძალულია საჭაპანო ტრანსპორტის მოძრაობა.

## გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ა. ბალანჩივაძე

გარდაიცვალა ქართული საოპერო ხელოვნების ერთერთი ფუძემდებელი—რესპუბლიკის სახალხო არტისტი მელიტონ ანტონის-ძე ბალანჩივაძე.

მ. ა. ბალანჩივაძე დაიბადა ქუთაისში 1862 წელს. განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. ჯერ კიდევ ბავშვობისას მ. ბალანჩივაძე გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული მუსიკალობით და სიმღერის სიყვარულით.

1880 წელს ის შევიდა თბილისის საოპერო თეატრის გუნდში, ეზიარა საოპერო ხელოვნებას და ამავე დროს შეუდგა მუსიკის თეორიის შესწავლას. 1881 წელს მ. ბალანჩივაძემ დაიწყო ქართული ხალხური სიმღერებისა და მელოდიების შეგროვება. ამავე ხანებში მან თბილისში მოაწყო პირველი ნაციონალური ქართული გუნდი.

ამავე დროს ბალანჩივაძე ეწეოდა კომპოზიტორულ მუშაობას. მთელმა რიგმა ქართულმა რომანსებმა, რომლებიც მან იმ დროს დასწერა, უკვე მაშინ შეუქმნა მას დიდი პოპულარობა.

1889 წელს თავისი მუსიკალური განათლების გასაუმჯობესებლად ბალანჩივაძე შედის პეტერბურგის კონსერვატორიაში. აქ მისი ერთერთი მასწავლებელი იყო ცნობილი რუსი კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვი.

1895 წელს პეტერბურგში გამართულ ქართული მუსიკის საღამოზე მ. ბალანჩივაძემ გააცნო რუს აუდიტორიას მის მიერ შეგროვილი გურული, მეგრული და სვანური ხალხური სიმღერები.

1897 წელს მ. ბალანჩივაძე შეუდგა პირველი ქართული ერთმოქმედებიანი ოპერის „დარეჯან ცბიერის" შექმნას. ოპერას თანაგრძნობით შეხვდა პეტერბურგის მუსიკალური საზოგადოებრიობა. შემდეგში ბალანჩივაძემ გადაამუშავა ოპერა და იგი [illegible].

თავის დროზე მ. ბალანჩივაძემ ბევრი გააკეთა მეფის რუსეთის მსხვილი ქალაქების მოსახლეობისა-



თვის ქართული ხალხური მუსიკის გასაცნობად. მან მოაწყო ქართული ხალხური სიმღერის საღამოები ვარშავაში, კიევში, ხარკოვში, იურიევში, ოდესაში და სხვა ქალაქებში.

გარდაიცვალა მ. ა. ბალანჩივაძე 75 წლისა. ის უკანასკნელ დრომდე დაუღალავად განაგრძობდა თავის კომპოზიტორულ მოღვაწეობას და მუშაობას საბჭოთა ახალგაზრდობის მუსიკალურად აღზრდის დარგში.

საბჭოთა ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცა უძველესი ქართველი კომპოზიტორის მრავალი წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას. 1934 წელს მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო სახელი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარში, მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის გამართვის შემდეგ, ის დაჯილდოვებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

## მ. ა. ბალანჩივაძის ხსოვნას

21 ნოემბერს გარდაიცვალა უხუცესი კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ორდენოსანი მ. ა. ბალანჩივაძე.

მ. ა. ბალანჩივაძის სახელთან დაკავშირებულია თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული მუსიკის ისტორიაში. დაუღალავად აგროვებდა რა ხალხურ სასიმღერო მასალას, ამუშავებდა რა მას და ამ საფუძველზე ჰქმნიდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, მ. ა. ბალანჩივაძე თავის თანამედროვე კომპოზიტორებთან ერთად ნერგავდა საქართველოში მუსიკალურ კულტურას, ხელს უწყობდა ქართული მუსიკალური ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

მ. ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი", რომელიც აგებულია ხალხურ მოტივებზე, წარმოადგენს ძვირფას განძს ქართული მუსიკალური კულტურის საგანძურში. მოსკოვში, ქართული ხელოვნების დეკადის დროს, ოპერა „დარეჯან ცბიერმა" საბჭოთა საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მიიღო. მთავრობამ ღირსეულად შეაფასა მ. ა. ბალანჩივაძის დამსახურება და დააჯილდოვა იგი შრომის წითელი დროშის ორდენით.

მ. ა. ბალანჩივაძე საბჭოთა პრესის ფურცლებზე სწერდა: „ჩემი სურვილი იქნებოდა ბევრი და ბევრი მემუშავნა ჩემი ძვირფასი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. მთელ ჩემს ძალებს მოვანდომებ მუსიკალური კადრების აღზრდას, ჩვენი მშვენიერი ახალგაზრდობის აღზრდას". და მართლაც, მუსიკალური კადრების აღზრდის საქმეში მ. ა. ბალანჩივაძემ დიდი მუშაობა გასწია.

მ. ა. ბალანჩივაძე დიდხანს მუშაობდა ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში, იგი იყო დამაარსებელი და პირველი დირექტორი ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლისა, სადაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა.

მ. ა. ბალანჩივაძე იყო ერთერთი ბედნიერი მოწმეთაგანი საქართველოს მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

თავისი მოღვაწეობა მან დაიწყო 80-იან წლებში, ნაციონალური კულტურის დარგში ყოველივე ცოცხალი აზრის ჩაგვრისა და დათრგუნვის ეპოქაში, და მოესწრო საბჭოთა მუსიკალური კულტურის მაღალი აყვავების ბედნიერ დღეებს.

მ. ა. ბალანჩივაძის შემოქმედებითი შესაძლებლობანი არ იზღუდებოდა კომპოზიტორული მოღვაწეობით. იგი იყო ერთერთი აქტიური ორგანიზატორი საბჭოთა მუსიკალური კულტურისა.

მ. ა. ბალანჩივაძემ დასტოვა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც მთლიანად იქნება გამოყენებული ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კადრების აღზრდისათვის.

მ. ა. ბალანჩივაძის, როგორც მუსიკის დარგის დიდი მოღვაწის, როგორც გულისხმიერი მეგობრის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ხელოვნების ყველა მუშაკის, საქართველოს ყველა მშრომელის გულში.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო
საქართველოს სსრ საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. ამსრულებელი **კ. შეროზია**


**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

| | |
|---|---|
| 23/XI წარმ. № 37 | იცკა რიჟინაშვილი |
| 24/XI წარმ. № 38 | სამანიშვილის დედინაცვალი |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ.

**თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 23/XI | წარმოდგენა არ არის |
| 24/XI | მუდმ. ადგ. ტალონი № 28 ერთდრ. ბილ. სერია № 2 ლაკმე |
| 25/XI | მუდმ. ადგ. ტალ. № 30 სიმფონიური კონცერტი საბჭოთა მუსიკის დეკადა |

დასაწყისი 8 საათზე.

**სახცირკი.** ტელ. 3-11-44
23 ნოემბერს
ახალი პროგრამა
მე-2 ციკლისა
არტ. დაიტონი, არტ. ორლოვები, არტ. კორუენევსკები, არტ. ლიდინა, აგრეთვე მთელი დასი.
დამსახ. არტ **ძმ. ტანტები**
ახალი რეპერტუარით.
დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.
ამ დღეებში **შაფრიკი**
24 ნოემბ. წარმ. დღისით დასაწყ. 2 ს.

**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1937—38 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 23/XI | წარმოდგენა 36. გმირთა თაობა |
| 24/XI | წარმოდგენა 37. გმირთა თაობა |

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.

**დღეს სახკინმრეწვის თეატრებში**

| | |
|---|---|
| ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135 | ახალი ხმ. მხატვრ. ფილმი კარო დასაწყ. 6-30 |
| დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 | ხმოვ. ისტორიული ფილმი პუგაჩოვი დასაწყ. 6-30 |
| კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91 | ხმოვ. თავდაცვითი ფილმი უშიშარნი დასაწყ. 6-30 |
| რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 | ხმოვ. ფილმი კარო დასაწ. 6-15 |
| სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23 | ხმოვ. ისტორიული ფილმი პუგაჩოვი დასაწყ დღ. 12 საათიდან |
| 26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი. | ხმოვ. მხ. ფილმი საბჭოთა სამშობლოსათვის დასაწყისი 6-30 |
| არსენა კომუნალური ქ. № 9 | ხმოვანი ფილმი სამშობლოს დევგმირები დასაწყ. 6-30 |
| ახალი ამბები | ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავი მოსკოვში |


## საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის ყაზბეგის ანდეზიტის წარმოების ბალანსი 1937 წ. 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

| № № რიგ. | ანგარიშების დასახელება (აქტივი) | თანხა | № № რიგ. | ანგარიშების დასახელება (პასივი) | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა | 1285 | 1 | საწესდებო ფონდი | 1812 |
| 2 | ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა | 925 | 2 | სპეცფონდები | 9 |
| 3 | მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა | 159 | 3 | რეზერვები | 22 |
| 4 | ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება | 16 | 4 | გრძელვადიანი კრედიტები | 692 |
| 5 | საქონელი, მზანაწარმი | 248 | 5 | მოკლევადიანი კრედიტები | 99 |
| 6 | გასასყიდად გამოყოფილი საგნები | 35 | 6 | ანგარიშსწორებანი | 138 |
| 7 | ფულადი საშუალებანი | 30 | 7 | საანგარიშო წლის დაგროვებანი | 77 |
| 8 | ანგარიშსწორებანი | 113 | | | |
| 9 | მომავალი პერიოდის ხარჯები | 29 | | | |
| 10 | განყენებული საშუალებანი | 9 | | | |
| | ბალანსი | 2849 | | ბალანსი | 2849 |

### 1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. სხვადასხვა დანაკარგები | 43 | 1. დაგროვებანი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით | 65 |
| | | 2. სხვა დაგროვებანი | 55 |
| დაგროვების სალდო | 77 | დანაკარგების სალდო | — |
| ბალანსი | 120 | ბალანსი | 120 |

დირექტორი ვერბოვოი. მთავარი ბუღჰალტერი დურნოვი.

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1686 საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ. საბუღჰალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯანელიძე.


თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, ა. წ. 1 ნოემბრიდან
ხდება
სახელმწიფო მინერალური წყლების ტრესტის
„საქმინწყალის" ლიკვიდაცია.
ის ორგანიზაციები და პირები, რომლებსაც აქვთ პრეტენზიები, ვალდებული არიან წარუდგინონ ისინი ლიკვიდკომს არა უგვიანეს 1937 წლის 10 დეკემბრისა მისამართით: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 18. აღნიშნული დროის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.
175 ლიკვიდკომი.


მეუღლე მარიამ ნიკოლოზის ასული, შვილები: ანდრია, გიორგი, თამარ, რძალი პანა, შვილიშვილები: ამირან და ცისკარი ბალანჩივაძეები იუწყებიან სახალხო არტისტის ორდენოსანი კომპოზიტორის
**მელიტონ ანტონის-ძე ბალანჩივაძის**
გარდაცვალებას.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი
**მელიტონ ანტონის-ძე ბალანჩივაძე**

საქ. საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი იუწყება სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორთა კავშირის წევრის, ორდენოსანი კომპოზიტორის
**მელიტონ ბალანჩივაძის**
გარდაცვალებას.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებული ხალხური შემოქმედების კაბინეტი იუწყება სახალხო არტისტის, ხალხური მუსიკის დაუღალავი მოღვაწის, ორდენოსანი კომპოზიტორის
**მელიტონ ბალანჩივაძის**
გარდაცვალებას ქ. ქუთაისში.


მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლოსამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ—3902